# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№45 (10048) 2026 წლის 20 აპრილი, ორშაბათი


გეოსტრატეგიული გადაწყვეტილება!

## შუა დერეფანი – ჰორმუზის სრუტის ალტერნატივა?!




## შესანიშნავი შვიდეული




## ოქროთცვენა თბილისში

რას სთავაზობს რუსეთი საქართველოს კავკასიის საინვესტიციო ფორუმზე?

## „გაჭედილი სისხლ-ძარღვების" გახსნა!..

ყველა ომი მაინც ეკონომიკაზეა დამოკიდებული! 3




## ტრამპის ოჯახი „ტრამპთაუერ თბილისის" აშენებას გეგმავს



აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!

## თამაშ-თამაშით გაზრდილი 4 ეკონომიკა!

მთავარია, იყოს ფული!..




## როგორ იპარავენ პანდემიის შემდგომი ეკონომიკის გადასარჩენად გამოყოფილ მილიარდებს ევროკავშირში...




## მოწყალე, ღვთისნიერი ერისთავები

წითელრაზმელებმა

## შეიწირეს!

ქსნის ხეობის წარსულიდან




# პრეზიდენტ ტრამპის ოჯახი „ტრამპთაუერ თბილისის“ აშენებას გეგმავს



ზაზა ფაჩულია, სოსო ფხაკაძე და ილია წულაია (წინა პლანზე) საიმედო თანამშრომლობას აპირებენ დონალდ ტრამპის მილიარდერ შვილთან ერიკთან (მარჯვნიდან მესამე).

**აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ოჯახის უძრავი ქონების კომპანია, პარტნიორებთან ერთად, თბილისში ახალ ცათამბჯენს ააშენებს.**

**„უოლ სტრიტ ჯორნალის“ ინფორმაციით, ტრამპის ორგანიზაცია საქართველოს დედაქალაქში, ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, 70-სართულიანი ფეშენებელური საცხოვრებელი კომპლექსის – Trump Tower Tbilisis აშენებას გეგმავს.**

**„კავკასიაში ტრამპის ბრენდის ახალი ცათამბჯენის აშენება იგეგმება, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეცვალა ტრამპის ოჯახის კომპანიამ საზღვარგარეთული ბიზნესისადმი მიდგომა ტრამპის მეორე ვადის დროს“**, – წერს გამოცემა.

**„უოლ სტრიტ ჯორნალის“** სტატიაში წერია, რომ, დასრულების შემდეგ, ეს იქნება ყველაზე მაღალი შენობა თბილისში. როგორც ცნობილია, პროექტში ასევე მონაწილეობს ნიუ იორკში დაფუძნებული დეველოპერი და ტრამპის ყოფილი პარტნიორი – Sapir Organization-ი.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ტრამპს საქართველოში წლების წინაც სურდა ცათამბჯენის აშენება, თუმცა, სხვა ქვეყნებში დაგეგმილი არაერთი პროექტის მსგავსად, **„ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის წარმოშობის გამო მასზე უარი თქვა“**. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ახალი პროექტი ასევე აცოცხლებს ტრამპის ბრენდისა და საქართველოს შორის უცვლელ ისტორიას.

**„2012 წელს ტრამპის ორგანიზაციამ გამოაცხადა უძრავი ქონების პროექტის გეგმები შავი ზღვის საკურორტო ქალაქ ბათუმში, თუმცა კომპანიამ უკან დაიხია ამ პროექტიდან და სხვა მრავალი საგარეო გარიგებიდან, რადგან დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას სურდა, თავიდან აეცილებინა ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის წარმოშობა“**, – წერს გამოცემა.

**„უოლ სტრიტ ჯორნალი“** სტატიაში საქართველოს ახასიათებს ქვეყნად, რომელიც ცდილობს ურთიერთობების დაბალანსებას და ხელსაყრელი პირობების შექმნით კაპიტალის მოზიდვას.

**„თავად საქართველო გეოპოლიტიკურად მგრძნობიარე პოზიციას იკავებს, აბალანსებს რა ურთიერთობებს დასავლეთთან და ამავდროულად თავს ართმევს დაძაბულობას რუსეთთან. ბოლო წლებში ის ასევე ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას ბიზნესისთვის ხელსაყრელი პოლიტიკის, შედარებით დაბალი გადასახადებისა და ტურიზმის მზარდი სექტორის პოპულარიზაციით“**, – წერს „უოლ სტრიტ ჯორნალი“.

ამასთან, გამოცემის ცნობით, **პროექტის განხორციელებაში ასევე ჩართული იქნებიან ქართული კომპანიები – ARCHI GROUP და BIOGRAPI LIVING.**

# ხიდები უნდა ვაშენოთ, მათი დაწვის ნაცვლად!

**„სამხრეთ კავკასიის აშკარად გამოკვეთილი როლი დღეს ამ რეგიონის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო ფუნქციაა“**

**ირაკლი კობახიძის განცხადებით, ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენების ფონზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, შესაბამისად, საქართველო ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები. მთავრობის მეთაურმა ანტალიის დიპლომატიურ ფორუმზე, პანელურ დისკუსიაზე განაცხადა, რომ ჩვენ თუ ვერ შევძლებთ მსოფლიოში წესებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის აღდგენას, დიპლომატია ვერასოდეს გაიმარჯვებს უხეშ პოლიტიკურ ინტერესებზე. მისივე თქმით, დიპლომატიაა მიზეზი, რის გამოც ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობაა.**




**„გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ბევრი შეცდომა დავუშვით. იქნებ, იმიტომ, რომ საქართველო საკმარისად დიპლომატიური და პრაგმატული არ იყო, შესაძლოა, სწორედ ეს იყო ამ შეცდომების მიზეზი. ჩვენ ბევრი გაკვეთილი ვისწავლეთ. ისევ ვისწავლეთ, რა არის დიპლომატიურობა და პრაგმატიზმი.**

**სწორედ ეს არის მიზეზი, რის წყალობითაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა გვაქვს. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც ჩვენ დიპლომატიის როლს ასე ძლიერად ვენდობით. ვფიქრობ, ეს ყველა ქვეყნის მიდგომა უნდა იყოს. ყველა ქვეყანა საკუთარი პრობლემებისა და სხვადასხვა საკითხის დიპლომატიურ გადაჭრაზე უნდა იყოს ორიენტირებული, თუმცა ამჟამად, სამწუხაროდ, უხეში პოლიტიკური ინტერესები დიპლომატიას გადაწონის. ეს არის ის ზოგადი სიტუაცია, რასაც ჩვენ მსოფლიოში ვხედავთ, ეს უნდა შეიცვალოს“**, – აღნიშნა **კობახიძემ.**




მისი თქმით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ახლა მეტად არიან კონცენტრირებული დიპლომატიურ გადაწყვეტილებებზე, კავშირების განმტკიცებაზე და ყველა ქვეყანამ ეს გზა უნდა გაიაროს.

**„ჯანსაღი ეკონომიკური კავშირები და ინტერესები თუ გაიმარჯვებს პოლიტიკურ ინტერესებზე, ამ შემთხვევაშიც, დიპლომატიის როლი მსოფლიოში გაცილებით ძლიერი გახდება. სამხრეთ კავკასია ამის ძალიან კარგი მაგალითია. ჩვენს რეგიონს ბევრი პრობლემა და სპეციფიკური კონფლიქტი ჰქონდა, თუმცა ახლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მეტად არიან კონცენტრირებული დიპლომატიურ გადაწყვეტილებებზე, პრაგმატულ მიდგომებზე და კავშირების განმტკიცებაზე.**

**ეს ძალიან დიდი დახმარებაა არა მხოლოდ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისთვის, არამედ ჩვენი ხალხების კეთილდღეობის განსამტკიცებლად. ეს ძალიან კარგი მაგალითია, ვფიქრობ, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ ეს გზა უნდა გაიაროს. ჩვენ ხიდები უნდა ავაშენოთ მათი დაწვის ნაცვლად, ეს უნდა იყოს ზოგადი მიდგომა. ამ შემთხვევაში კი დიპლომატიის როლი გაცილებით, გაცილებით ძლიერი გახდება“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

იხ. 4 გვ.

## ყველა ომი მაინც ეკონომიკაზეა დამოკიდებული!

**28-30 აპრილს სტავროპოლის მხარე კავკასიის საინვესტიციო ფორუმს უმასპინძლებს. წლევანდელი ღონისძიება, სახელწოდებით – „შესაძლებლობების ჰორიზონტის გაფართოება“, MinvodyEXPO-ს პლატფორმაზე 5000-მდე მონაწილეს, ბიზნესის წარმომადგენელსა და ექსპერტს გააერთიანებს. თუმცა, ფორუმის ეკონომიკური დღის წესრიგის მიღმა, მკაფიოდ იკვეთება პოლიტიკური სარჩული, რომლითაც საქართველო „რეგიონის ხერხემლად“ და „სასიცოცხლო რგოლადაა“ მოაზრებული.**

## რას სთავაზობს რუსეთი საქართველოს კავკასიის საინვესტიციო ფორუმზე?




# „გაჭედილი სისხლძარღვების“ გახსნა!..

**ფორუმის ორგანიზატორთა მხრიდან გაკეთებული განცხადებები მიანიშნებს, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლას ცდილობს.** ფორუმის საზოგადოებრივი ასისტენტის **იბრაჰიმ არსანოვის** განცხადებით, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რვა ახალი სატრანსპორტო დერეფნის გახსნაზე, რაც მისი თქმით, „მთელ კავკასიაში გაჭედილი სისხლძარღვების განთავისუფლებას“ გამოიწვევს.

განხილვის მთავარ თემებს შორის არის: **სატრანსპორტო კავშირების გაძლიერება; სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გაფართოება; კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლები; ექსპერტული დიპლომატიის გააქტიურება.**

**ინტერესთა თანხვედრა და რეალური მზაობა, არსანოვის თქმით, ასევე „მართლმადიდებლური ერთიანობა“ და „ეთნიკური ფესვები“ უნდა გახდეს საყრდენი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთინტეგრაციისთვის. თუმცა, ჩნდება კითხვა: რამდენად არის ორივე მხარე მზად რეალური, სახელმწიფოებრივი ურთიერთობისთვის?**

რუსეთისთვის ეს ფორუმი არის მცდელობა, დასავლური სანქციებისა და იზოლაციის პირობებში, შექმნას ალტერნატიული რეგიონული ეკონომიკური ცენტრი. საქართველოსთვის კი მსგავს ინიციატივებში მონაწილეობა დიდ პოლიტიკურ რისკებთანაა დაკავშირებული. **მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პრაგმატიზმი და სატრანსპორტო ჰაბის სტატუსი თბილისისთვის მიმზიდველია, პოლიტიკური ფასი – ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური კურსის გათვალისწინებით – კვლავ გადაულახავ ბარიერად რჩება.**

### საექსპერტო დიალოგი – გზა დიპლომატიისკენ?

**სტავროპოლში გაჟღერებული გზავნილები ექსპერტული დიპლომატიის გაძლიერების შესახებ, ხშირად აღიქმება, როგორც პირველი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისკენ. ფორუმის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ „სახალხო დიპლომატია“ შეამსუბუქებს პოლიტიკურ კლიმატს.**

თუმცა, ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ მხოლოდ ეკონომიკური პროექტები და კულტურული ნარატივები ვერ გახდება დიპლომატიური კავშირების აღდგენის გარანტი, თუ არ მოხდება ფუნდამენტური პოლიტიკური საკითხების გადაჭრა. საბოლოო ჯამში, „შესაძლებლობების ჰორიზონტი“ მხოლოდ მაშინ გაფართოვდება, როდესაც ეკონომიკური ინტერესები პოლიტიკურ სუვერენიტეტთან წინააღმდეგობაში აღარ მოვა.

* * *

კონფლიქტოლოგ და კავკასიოლოგ **მამუკა არეშიძეს** For.ge-მ ჰკითხა, რამდენად რეალისტურია ამ მასშტაბის ინფრასტრუქტურის გახსნა დღევანდელი პოლიტიკური მოცემულობის გათვალისწინებით და რა საფრთხეები ან შესაძლებლობებია ამაში საქართველოსთვის?



**„კარგია, როცა სატრანსპორტო დერეფნები მუშაობს, მაგრამ არარეალისტურად მეჩვენება ეს ყველაფერი, რადგან ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი, რომელზეც საუბრები მიმდინარეობს რუსეთში, ეს აფხაზეთის გავლით არის. ეს დამოკიდებულია უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ეხება. ამიტომ, თუ ეს საკითხი არ იქნა მოგვარებული, ან თუნდაც ამ თემაზე მოლაპარაკებების დაწყება არ მოხდა, ამაზე საუბარი რთულია. დანარჩენი სატრანსპორტო დერეფანია ინგუშეთიდან მომავალი გზა, რომლის მშენებლობა არც არის დაწყებული, რომელიც უზარმაზარ ფინანსებს მოითხოვს. ასევე არის დაღესტნიდან მომავალი გზა – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისთვის ხელი არავის უხლია და გზა საერთოდ აღარ არის. ამიტომ, თუ ლარსს არ ჩავთვლით, ყველა სატრანსპორტო დერეფანი ასეთ მძიმე მდგომარეობაშია. ზოგან პოლიტიკური, ზოგან კი ინფრასტრუქტურული პრობლემებია. ასე რომ, სურვილი შესაძლოა იყოს, კარგია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი უცბად გადაწყდება“,** – ამბობს კონფლიქტოლოგი.

### საქართველოს როლი და რუსეთის ინტერესის მიზეზები

**ფორუმის მონაწილეები საუბრობენ საქართველოზე, როგორც კავკასიის ხერხემალზე და სასიცოცხლო რგოლზე.**

არეშიძეს ვკითხეთ, **ვის უფრო სჭირდება ახლა: საქართველოს – რუსეთი, თუ რუსეთს – საქართველო?** დავინტერესდით, მოსკოვის მხრიდან, ბოლო დროს, ჩვენი ქვეყნის მიმართ ინტერესი რით არის განპირობებული. არეშიძე გვპასუხობს, რომ ბოლო დროს ეს ინტერესი გაღრმავდა, რადგან ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობები ერთგვარად გადაფორმატდა.

**„აქედან გამომდინარე, რადგან რიგ ქვეყნებში სანქციებია დაწესებული, ორ ქვეყანაში, რომელიც ჩვენს რეგიონთან ასოცირდება – რუსეთი და ირანი, უმძიმესი სანქციების პირობებში იმყოფება. შესაბამისად, ძველი სატრანსპორტო კორიდორები და სავაჭრო ურთიერთობები აღარ მუშაობს. ამიტომ საჭირო გახდა, რომ ახლები იყოს მოფიქრებული და დამუშავებული. ზუსტად ამის გამოა, რომ ეს საუბრები მიდის. ზუსტად ამან განაპირობა ტერმინი – საქართველოს გააქტიურება. საქართველო სწორედ ამ მნიშვნელოვან სივრცეში მდებარეობს. რაც შეეხება იმას, გამოადგება თუ არა საქართველოს ეს სავაჭრო კორიდორები, რა თქმა უნდა, გამოადგება. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედაც რომ სატრანზიტო დანიშნულებაა. რიგ შემთხვევაში, ეს გარკვეულ სერიოზულ, პოლიტიკურ საკითხებთან არის დაკავშირებული და გარკვეული საფრთხილეც გვმართებს. სურვილი არის, ამის პერსპექტივები ძალიან სერიოზული ჩანს, მაგრამ დიდი პოლიტიკის კონტექსტიდან გამომდინარე, ძალიან სერიოზული სიფრთხილეც გვმართებს“,** – ამბობს **არეშიძე.**

### სახალხო დიპლომატია და კავკასიური ჰაბის პერსპექტივა

**აქვე ჩნდება კითხვა, რა როლი შეიძლება ითამაშოს „სახალხო დიპლომატიამ“ და ექსპერტულმა შეხვედრებმა, რაზეც ფორუმის ორგანიზატორები ამახვილებენ ყურადღებას, იმ პირობებში, როდესაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია?**

ამაზე არეშიძე გვპასუხობს, რომ სწორედ კავკასია არის რუსეთის შემადგენლობაში, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს ტრადიციული ურთიერთობები კავკასიელ ხალხთან. აქედან გამომდინარე, ამ ურთიერთობის შენარჩუნებაა საჭირო, ჰუმანიტარულ სფეროში მაინც.

**„გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ადრე თუ გვიან, მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბდება, მათ შორის, ჩვენს რეგიონშიც, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს ვითარების გააზრებისას, მაგრამ თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ კავკასიის ჰაბი ვიყოთ – ეს იქნება საგანმანათლებლო, სამედიცინო, ეკონომიკური – მაშინ ამაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ. მე მაინც მივესალმები ასეთი ტიპის ფორუმების ჩატარებას, სადაც იხილება საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი. კარგია ასე რომ ხდება, მაგრამ თუნდაც ამით დავიწყოთ“,** – ამბობს **არეშიძე.**

* * *

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **გოჩა ცოფურაშვილი** კი **For.ge**-სთან ფიქრობს, რომ ამ სიცარიელეში, არც დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში, გარკვეული სახის ნაბიჯები – იქნება ეს ექსპერტული დიპლომატია თუ ზოგადად სახალხო დიპლომატია – ერთობ მნიშვნელოვანია.

**„მნიშვნელოვანია, ასევე, ჩრდილო კავკასიასთან ჩვენი კავშირები. ეს ჩვენ განსაკუთრებულად გვაინტერესებს, რადგან აქაც ჩაწყვეტილია კონტაქტი და ურთიერთობის ძაფი. ვთვლი, რომ აუცილებლად აღსადგენია გარკვეულ დონეზე. ერთი, რომ რუსეთი ჩვენთვის არის ნომერ პირველი პარტნიორი, როგორც სოფლის მეურნეობის ნაწილში, ასევე იმპორტ-ექსპორტშიც. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ევროპულ ქვეყნებთან ძალიან უარყოფითი ბალანსი გვაქვს, იგივე გერმანიასთან, საფრანგეთთან, ნიდერლანდებთან. რუსეთთან, მიუხედავად იმისა, რომ იქიდან დიდი რაოდენობით მოგვაქვს ხორბალი, ხორცი და სხვა პროდუქტებიც, მაინც დადებითი სავაჭრო ბალანსი გვაქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ღვინოს, სპირტიან სასმელებს, მინერალებს და ხილს დიდი რაოდენობით ვყიდით, რასაც ვერ ვახერხებთ სხვა ქვეყნებთან. ამიტომ, როგორც მეზობელი და პარტნიორი ქვეყანა, რუსეთი მნიშვნელოვანია, შესაბამისად, გარკვეული კონტაქტები და კომუნიკაციები უნდა იყოს“,** – ამბობს ეკონომისტი.



გოჩა ცოფურაშვილის თქმით, არ შეიძლება პროცესი ასე თვითდინებაზე იყოს მიშვებული, რადგან ბაზრების დაპყრობას და ბაზრებზე წვდომას ძალიან დიდი შრომა უნდა. თუ ჩვენ მივუშვებთ ამ პროცესს, ბევრს დავკარგავთ.

**„იქ ხდება ჩვენი ღვინის ფალსიფიკაცია, რომლის დაცვაც ვერ ხერხდება. შეიძლება, საკმაოდ სახელიც გაუტყდეს, რადგან ბევრ გაურკვეველ რაღაცას ასხამენ და ქართული ღვინის იარლიყს აწებებენ. ამიტომ ბევრია ამ მიმართულებით სამუშაო. ბიზნესი და ბიზნესმენები, ამის გამო, ხანდახან მარტო რჩებიან ხოლმე. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, ექსპერტული დიპლომატია და შესაძლებლობების შესწავლა შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. ვხედავთ, მსოფლიო ისე იცვლება, რომ უმნიშვნელოვანესი მაინც გეოეკონომიკა ხდება. პოლიტიკური პროცესები გასაგებია, რომ მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველა წამოწყება, ყველა ომი, ვხედავთ, რომ მაინც ეკონომიკურ ტრაექტორიას ატარებს“,** – აცხადებს **ცოფურაშვილი.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# მთავარია, იყოს ფული!..

**სათამაშო ბიზნესის სფეროში სამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრდება და სანებართვო პირობების შეუსრულებლობისთვის დაწესებული ჯარიმების ოდენობები იზრდება. ცვლილებები „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში შედის. შესაბამისი ინიციატივით პარლამენტს მთავრობამ მიმართა.**

## გადასახადებთან ერთად, სათამაშო ბიზნესისთვის ჯარიმებიც იზრდება!

**ცვლილებები „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში**




# თამაშ-თამაშით გაზრდილი ეკონომიკა!

**პარლამენტს განსახილველად წარედგინა პროექტი, რომლის მიხედვით, სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა 7 000 ლარის ნაცვლად, 20 000 ლარით განისაზღვრება; სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა 1 000 ლარის ნაცვლად, 10 000 ლარით განისაზღვრება; აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმა 2 000 ლარის ნაცვლად, 10 000 ლარი იქნება; აზარტული და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა 2 000 ლარის ნაცვლად, 10 000 ლარით განისაზღვრება, ხოლო სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს, სათამაშო აპარატების და ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელთა მიმართ დაწესებული ჯარიმა 7 000 ლარის ნაცვლად, 20 000 ლარი იქნება.**

როგორც მთავრობა განმარტავს, ამჟამად მოქმედი ჯარიმების ოდენობა რეალურ შემაკავებელ ფუნქციას ვერ ასრულებს და ეფექტიან პრევენციას ვერ უზრუნველყოფს.

**„ნებართვის მფლობელისათვის, ხშირ შემთხვევაში, უფრო ეკონომიკურად მიზანშეწონილია სანებართვო პირობების დარღვევა და შემდეგ ჯარიმის გადახდა, ვიდრე დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვა“**, – აცხადებენ მთავრობაში, სადაც იმედოვნებენ, რომ სანქციების გამკაცრება გამოიწვევს „სანებართვო მოსაკრებლის დროულად გადახდის პროვოცირებას“ და ბიუჯეტში თანხების მობილიზებას. ცნობისთვის, ამ დროისთვის საქართველოში თამაშების მიწოდების 51 ნებართვაა გაცემული, რომელთაგან თითოეული ბიუჯეტში, წელიწადში, 100 000 ლარს იხდის.



საქართველოს სათამაშო ბიზნესის ასოციაციის ხელმძღვანელი, **გიორგი მამულაიშვილი** აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია რეგულაცია გონივრული, პროპორციული და სამართლიანი იყოს. ბიზნესი შეგნებულად კანონს არ დაარღვევს, ადამიანური თუ ტექნიკური ხარვეზის გამო, ასეთი მაღალი ჯარიმების დაკისრება კი პრობლემაა.

**„წესრიგი და პასუხისმგებლობა ამ სექტორისთვის აუცილებელია. ჩვენ ყოველთვის ვუჭერთ მხარს ისეთ რეგულაციებს, რომელიც ბაზარს უფრო გამჭვირვალეს, დაცულს და პასუხისმგებლიანს ხდის. თუმცა, ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგულაცია იყოს გონივრული, პროპორციული და, რა თქმა უნდა, სამართლიანი.**

**წარმოდგენილი კანონპროექტით, სანებართვო პირობების დარღვევისთვის მნიშვნელოვნად იზრდება ჯარიმები. სახელმწიფოს პოზიციის განმარტება არის, რომ მოქმედი სანქციები აღარ ითვლება საკმარისად შემაკავებლად და ამიტომ საჭიროა გამკაცრება. ჯარიმების ზრდა ყოველთვის არ ნიშნავს უკეთეს შედეგს. პრაქტიკაში ზედმეტად მკაცრი სანქციები ხშირად არ აუმჯობესებს გარემოს, არამედ პირიქით – აფერხებს ლეგალური ბიზნესის განვითარებას. განსაკუთრებით, როდესაც საუბარი გვაქვს ისეთ კომპანიებზე, რომლებიც დღესდღეობით არიან წარმოდგენილი საქართველოში და მათი დამფუძნებელი კომპანიები არიან წარმოდგენილი ევროპის უმსხვილეს საფონდო ბირჟაზე.**

**აქ პრობლემა არის იმაში, რომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ადამიანური ფაქტორი, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ტექნიკური ხარვეზი, ასევე პროცედურული უზუსტობა და, შესაბამისად, ამის გამო დავახრჩოთ ბიზნესი, არ არის სწორი მიდგომა. მიზანმიმართულად არცერთი ბიზნეს-ოპერატორი ამ კანონმდებლობას არ არღვევს, შესაბამისად, ეს ბიზნესისთვის პრობლემა არ არის. პრობლემაა ის, რომ ელემენტარული შეცდომის გამო, არ უნდა იხდიდეს ბიზნესი გაათმაგებულ ჯარიმას“**, – განაცხადა **მამულაიშვილმა.**

სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი არალეგალური ოპერატორების რეგულირებისთვის, რაც სექტორისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა!

**„ვთვლი, რომ თუ სახელმწიფოს სურს რეალური შედეგის მიღება, მთავარი დარტყმა უნდა წავიდეს არალეგალურ სექტორზე. უფრო მკაცრი სანქციები არის მისაღები იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ტერიტორიიდან უცხოელ მომხმარებლებზე და არ გააჩნიათ ლიცენზია. სწორედ ეს არის ის სეგმენტი, რომელიც ზიანს აყენებს არა მარტო ბიუჯეტს, ასევე თვითონ ბიზნესის იმიჯს აზიანებს სერიოზულად. ეს არის პრობლემა და უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფოს გაეკეთებინა აქცენტი კონკრეტულად ამ საკითხზე. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები აღნიშნულთან დაკავშირებით და იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში იქნება დადებითი ცვლილება ამ კუთხით.**

**რეგულაცია უნდა იყოს მკაცრი, სადაც საქმე გვაქვს უკანონობასთან. შესაბამისად, თუ გონივრული ცვლილება გვინდა, ეს უნდა ეხებოდეს კონკრეტულად იმ არალეგალურ ოპერატორებს, რომლებიც დღესდღეობით არღვევენ კანონს და ბალანსს სექტორში“**, – აღნიშნა „ბიზნეს მედიასთან“ საქართველოს სათამაშო ბიზნესის ასოციაციის ხელმძღვანელმა.

**2025 წლის მონაცემებით, საქართველოში ყველაზე დიდი ბრუნვის ტოპ-10 კომპანიიდან, 8 – აზარტული საქმიანობით არის დაკავებული. ის ფაქტი, რომ ქვეყანაში სათამაშო ბიზნესის მოგება წლიდან წლამდე იზრდება, ახალი არ არის, თუმცა აქამდე, ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიების ათეულში, მათ რაოდენობას 8-მდე არასდროს მიუღწევია.**

უფრო კონკრეტულად, „საქსტატის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიებია: **„კავკასიის ავტოიმპორტი“, „ორი ნაბიჯი“, „ევროპაბეთი“, „ბეთლაივი“, „ავიატორი“, „მარსი“, „ფულ ჰაუსი“, „ასვლა“, „ლიდერ-ბეთ სლოტი“, „პრინცესს ბათუმი“.**

აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებულ საწარმოთა ბრუნვამ 2024 წელი მორიგი რეკორდული მაჩვენებლით დაასრულა – სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 76.155 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით, 12.161 მლრდ ლარით მეტია.

**„საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წელს, სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა შეადგენდა 63.994 მლრდ ლარს, 2022 წელს – 52.647 მლრდ ლარს, 2021 წელს – 47.938 მლრდ ლარს, 2020 წელს კი 32.091 მლრდ ლარს. მთლიანად კი, გასულ წელს, სათამაშო ბიზნესის წილი ბიზნესსექტორის მთლიან ბრუნვაში 32.3% იყო.**

ბექა დანელია

# „სამხრეთ კავკასიის აშკარად გამოკვეთილი როლი დღეს ამ რეგიონის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო ფუნქციაა“

(მეორე გვერდიდან)

სამხრეთ კავკასიის როლზე და მნიშვნელობაზე ასევე ისაუბრა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა **ლევან ჟორჟოლიანმა**, რომლის განცხადებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნების ხედვით იხელმძღვანელებენ.

**„ძალიან გვახარებს მეზობლების მიღწევები. აზერბაიჯანმა და სომხეთმა სამშვიდობო შეთანხმება გააფორმეს. ახლა ისინი სავაჭრო ურთიერთობებს ავითარებენ. საქართველო ამჟამად და მომავალშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ პროცესის ხელშეწყობისთვის. მტკიცედ გვჯერა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თუ კეთილდღეობის, სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნების ხედვით იხელმძღვანელებენ, უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ხალხების კეთილდღეობა. ჩვენ გავაგრძელებთ მშვიდობის პოლიტიკის ხელშეწყობას“**, – განაცხადა **ლევან ჟორჟოლიანმა.**

ანალიტიკოსის **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, სამხრეთ კავკასიის აშკარად გამოკვეთილი როლი დღეს ამ რეგიონის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო ფუნქციაა. სამხრეთ კავკასია აკავშირებს არა მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, არამედ ჩრდილოეთსა და სამხრეთსაც. ამდენად, მისი თქმით, იგი ჯვრისებრი გამტარია და დღეს ამ სატრანზიტო ფუნქციას გეოსტრატეგიული ფასი იმდენად გაეზარდა, როგორც არასდროს.

**„მოთხოვნა ტრანზიტზე და შესაბამისად, მშვიდობიან, ურთიერთსასარგებლო და მომგებიან თანამშრომლობაზე არსებული საერთაშორისო დიფუზიის და ტურბულენტობის პირობებში უაღრესად მაღალია და თანაც მზარდი. რასაკვირველია, ამ მოთხოვნაზე საპასუხოდ ყველა დაინტერესებულ მხარეს საკუთარი პოზიცია აქვს.**

**აქ უმნიშვნელოვანესია, რომ თავად სამხრეთ კავკასიის სამმა სახელმწიფომ სუვერენულად გადაწყვიტოს, როგორ უპასუხებს ამ გაზრდილ მოთხოვნას. მთავარი ეს არის, ხოლო რა ფორმები გამოინახება სატრანზიტო სტრატეგიის ხელსაყრელი რეალიზაციისთვის ამ სამი სუვერენული სახელმწიფოს თანამშრომლობით, ეს უახლოეს მომავალში უკვე კონკრეტულად გამოჩნდება“**, – აღნიშნა For.ge-თან საუბრისას **დავით ზარდიაშვილმა.**

მოამზადა

თამთა ქარჩავამ

# შუა დერეფანი — ჰორმუზის სრუტის ალტერნატივა?!

**თურქეთის სასაზღვრო პუნქტი ალიკანი, იგდირის პროვინციაში, საიდანაც სომხეთი მოჩანს, მშვიდი გზის ბოლოში მდებარეობს. მეცხვარეები თავიანთ ცხვრის ფარას მწვანე ველებზე მწყემსავენ, დროდადრო ტრაქტორი მტვერს აყენებს, რომელიც უქარო ამინდში ჰაერში დიდხანს დგას. სამხედრო ბუნკერებიც კი, მთელ ლანდშაფტზე გაბნეულნი, გეგონებათ, რომ მზეზე თვლემენ.**

**დიახ, აქ, სასაზღვრო პუნქტში იდილიური სიწყნარეა, მაგრამ თურქები იმედოვნებენ, რომ ეს მშვიდი ჩიხი მალე გლობალური ვაჭრობის საკვანძო ადგილად გადაიქცევა. რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ უკვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, ამონტაჟებენ სისტემებს, რომლებიც აუცილებელია პასპორტების გასაფორმებლად და შესამოწმებლად თურქეთ-სომხეთის საზღვარზე, რომელიც 23 წლის განმავლობაში დახურულია. საზღვრის გახსნით გაიხსნება უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მარშრუტიც, რომელიც ევროპას აზიასთან დააკავშირებს.**

**„თურქეთი მხარს უჭერს „შუა დერეფანს“ და მას ჰორმუზის სრუტის ალტერნატივად წარმოაჩენს“,** – ასეთი სათაურითაა გამოქვეყნებული სტატია ბრიტანულ გაზეთ **„ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times)**, რომლის ავტორი, პოლიტიკური მიმომხილველი **ჯონ პოლ რათბონი** მსჯელობს კავკასია-თურქეთზე გამავალი სატრანსპორტო გზების ეფექტიანობაზე და მათ შუქ-ჩრდილებზე. **იმ დროს, როცა აშშ-ირანის ომის გამო ახლო აღმოსავლეთის მთავარი საზღვაო ენერგოდერეფანი – ჰორმუზის სრუტე არ მოქმედებს, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სავარაუდო ალტერნატივას – „შუა დერეფნის“ სახმელეთო მარშრუტს და მისი ერთ-ერთი ელემენტის – „ტრამპის გზის“ მნიშვნელობას.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:** FINANCIAL TIMES




**პროექტს, რომელსაც მხარი დაუჭირა აშშ-ის პრეზიდენტმა აზერბაიჯან-სომხეთის სამშვიდობო მოლაპარაკების ჩარჩოებში, გრანდიოზული სახელწოდება აქვს – „ტრამპის გზა საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“.**

გეოპოლიტიკური ფსონები ძალიან დიდია. თურქეთის მიერ სომხეთთან საზღვრის გახსნა ანკარას ხელს უწყობს საკუთარი თავი საიმედო სავაჭრო ცენტრად წარმოაჩინოს და ტვირთები სხვა მარშრუტებიდან თავისკენ მიიზიდოს – უპირველეს ყოვლისა, ჰორმუზის სრუტიდან, რომელიც ირანთან ომის გამო ამჟამად ჩაკეტილია.

**„ჩვენ არ ვიცით ზუსტად, როდის გაიხსნება საზღვარი – თარიღი მუდმივად იცვლება“,** – ამბობს ერთ-ერთი თურქი მესაზღვრე, – **„მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ ეს მალე მოხდება“.**

მას შემდეგ, რაც გასული წლის ივნისში თეირანმა პირველად წამოსწია საკითხი ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვის შესახებ, ანკარამ გააქტიურა თავისი ძალისხმევა სტაბილური ალტერნატიული სავაჭრო დერეფნის წარმოსაჩენად. ეს ტენდენცია ამჟამად გაძლიერდა, რადგან რუსეთ-უკრაინის და აშშ-ისრაელ-ირანის ომები იწვევენ ტრადიციული მარშრუტების დარღვევას რუსეთის, ირანის, წითელი ზღვისა და სპარსეთის ყურის გავლით.

**„თურქეთი ამ რეგიონული ომების ფონზე გამოირჩევა როგორც სტაბილურობის კუნძული, როგორც მშვიდი ქვეყანა“,** – განაცხადა გასულ კვირას თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ ერდოღანმა, – „ჩვენ დავიწყეთ ბევრად უფრო უსაფრთხო ალტერნატიული მარშრუტების განხილვა ელექტროენერგიის გადაცემის მიზნითაც... გულწრფელად გვჯერა, რომ ამ კრიზისების გამო ჩვენი ქვეყნის კარი ბევრისთვის ფართოდ გაიღება“.**

**„ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის მოცულობა წელიწადში დაახლოებით 3 ტრილიონ დოლარს აღწევს. აქედან 90% საზღვაო გზით ხორციელდება“,** – ამბობს **ბინალი ილდირიმი,** თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს სავაჭრო მარშრუტების ორგანიზებაში თურქეთის გავლით, – **„ამჟამად ყველაზე მოკლე (საზღვაო) მარშრუტის ხანგრძლივობა 40 დღეს აღწევს“.**

დღეისათვის საზღვაო გზის ალტერნატივად წინა პლანზე გამოდის **„შუა დერეფანი“** – სახმელეთო მარშრუტი, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს კავკასიისა და თურქეთის გავლით და რომელსაც ანკარა წარმოაჩენს: **„ტვირთების მოძრაობას ამ მარშრუტით მხოლოდ 12-დან 15 დღემდე ხანგრძლივობა ექნება“,** – ამბობს ექს-პრემიერი, – **„მათი ამჟამინდელი ნაკადი დიდი არ არის, მაგრამ წინ დიდი პოტენციალი მოჩანს“.**

ევროპელი ჩინოვნიკები, როგორც ჩანს, **„შუა დერეფნით“** დაინტერესდნენ. ევროკავშირის კომისარმა მარტა კოსმა თურქეთს **„კრიტიკულად მნიშვნელოვანი პარტნიორი“** უწოდა და **„შუა დერეფნის“** გაფართოების თურქული პროექტი **„თამაშის წესების კარდინალურ ცვლილებად და გარდამტეხ მომენტად“** შეაფასა.

**„ალტერნატიული მარშრუტების შემუშავება აუცილებლობად იქცა“,** – განაცხადა აბდულყადირ ურალოღლუმ, თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა თებერვალში – ირანზე აშშ-ისრაელის ავიადარტყმებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ანკარის ყურადღების ცენტრშია ორი პროექტი:

**პირველი** – „განვითარების გზა“, ანუ საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების ქსელი, რომელიც სპარსეთის ყურის ქვეყნებს, თურქეთის გავლით, ევროპასთან დააკავშირებს, ჰორმუზის სრუტისა და სუეცის არხის გვერდის ავლით. ეს მარშრუტი შემუშავების პროცესშია, თუმცა მას ორი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს - მრავალმილიარდიან ინვესტიციებს ითხოვს და არასტაბილურ ერაყზე გადის. **„რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ ამ მარშრუტს საუდის არაბეთზე, იორდანიაზე, სირიაზე და თურქეთზე გაევლო“,** – ამბობს ერთ-ერთი ეკონომისტი ტრანსპორტის საკითხებში, – **„დღეს მისი რეალიზება არცთუ საიმედოა, მაგრამ შესაძლოა 10 წლის შემდეგ განხორციელდეს“.**

**მეორე** – „შუა დერეფნის“ გაფართოების გეგმა, რომელიც უფრო პერსპექტიულია და რომლის ცენტრალურ ელემენტად ითვლება „ტრამპის გზა საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“ (აბრევიატურა TRIPP - Trump Route for International Peace and Prosperity). ეს გზა მოიცავს საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლას თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, სომხეთის გავლით, აშშ-ის მიერ ფინანსდება და საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მარშრუტის გამტარუნარიანობას აფართოებს.

**„ტრამპის გზა“** (2025 წლის აგვისტოში) თეთრ სახლში დიდი ზარ-ზეიმით იქნა წარდგენილი, აზერბაიჯან-სომხეთის წინასწარ სამშვიდობო ხელშეკრულებასთან ერთად. TRIPP-ის პროექტი ხელს შეუწყობს ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებას, მრავალწლიანი კონფლიქტის დასრულების შემდეგ. თურქეთმა მიანიშნა, რომ როგორც კი საბოლოოდ იქნება ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმება, ანკარა ისევ გახსნის თავის საზღვრებს და დაიწყებს კონკრეტულ ძალისხმევას TRIPP-ის პროექტის რეალიზებაზე. **„ეს ჩემთვის დიდ და ღირსეულ საქმეს წარმოადგენს“,** – აღნიშნა იმ დროს **დონალდ ტრამპმა.**

აზერბაიჯანელი ოფიციალური პირების თქმით, თურქული სამშენებლო კომპანიები – ისეთი, როგორიც Kalyon-ია (მისი ოფისი ანკარასთან ახლოს მდებარეობს, აქვს დიდი გამოცდილება ფლაგმანური პროექტების რეალიზებაში, მაგალითად, სტამბოლის აეროპორტის მშენებლობაში), უკვე შეუდგნენ მუშაობას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, აფართოებენ და წესრიგში მოჰყავთ რკინიგზა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მოქმედებდა.

**ბინალი ილდირიმის** თქმით, პროექტის წარმატებით რეალიზების შემდეგ სავაჭრო ტვირთების გადაზიდვის მოცულობა „შუა დერეფნის“ გავლით, რომელიც 2021-2025 წლებში გასამმაგდა, სამომავლოდ 5 მილიონი ტონიდან 20 მილიონ ტონას მიაღწევს. მაგრამ, ობიექტურად თუ ვიტყვით, ამ მარშრუტზეც არის გარკვეული დაბრკოლებები. მაგალითად, ტვირთბრუნვა ძალიან არის დამოკიდებული კასპიის ზღვაზე მოქმედი ბორანის დაყოვნებულ მოძრაობაზე, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის უთანაბრობაზე (თურქეთისა და კავკასიის რკინიგზებზე რელსებს შორის სხვადასხვა სიგანეა), რთულ საბაჟო პროცედურებზე სხვადასხვა ქვეყნების საზღვრების გადაკვეთის დროს. ეს ყველაფერი ტვირთის გადაზიდვის სიჩქარეს აბრკოლებს, ჩრდილოეთის – რუსეთზე გამავალი – პირდაპირი და უპრობლემო მარშრუტთან შედარებით, რომელიც წელიწადში ჩინეთსა და ევროპას შორის 40 მილიონამდე ტვირთი გადაზიდვას უზრუნველყოფს.

**„შუა დერეფანი“ ისეთი მარშრუტია, რომელიც ყველას ჭირდება, თუმცა მისით ნაკლებად სარგებლობენ“,** – ასეთნაირადაა შეფასებული ეს გზა საინვესტიციო ბანკის JPMorgan-ის ამასწინანდელ ანგარიშში.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ „ტრამპის გზასაც“ (TRIPP) თავისი პრობლემები აქვს – მოწყვლადია შეტევების შემთხვევაში, რადგან ირანის საზღვრის გასწვრივ მიემართება. TRIPP-ის გამო რუსეთიც შეშფოთებულია, რომელიც ტრადიციულად კავკასიაში დომინირებს. მიმდინარე თვის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სომხეთის პრემიერთან ნიკოლ ფაშინიანთან მოსკოვში შეხვედრის დროს გამაფრთხილებლად განაცხადა, რომ შეუძლია სომხეთს რუსული გაზის მიწოდება შეუმციროს, თუ ერევანი ევროპისაკენ თავისი სავაჭრო ტვირთების ნაკადს გადაამისამართებს (ანუ პრიორიტეტს **„შუა დერეფანს“** მიანიჭებს).

თურქეთის გეოგრაფია, რომელიც, ერთ-ერთი დასავლელი დიპლომატის თქმით, **„ქვეყანას გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს“,** პრაქტიკულად, მისთვის ლოჯისტიკური ცენტრის როლის შესრულების გარანტორს წარმოადგენს – ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

**ბოსფორის სრუტის გავლით უკვე გადაიზიდება 3,5 მილიონი ბარელი ნავთობი წელიწადში, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით, რომლის სიგრძე 1700 კილომეტრს აღწევს, ევროპისათვის დღეში 1,2 მილიონ ბარელამდე „შავი ოქრო“ გადაიქაჩება.**

მას შემდეგ, რაც ირანმა ჰორმუზის სრუტე ჩაკეტა, ერაყის ხელისუფლება მოელაპარაკა თავის შემადგენლობაში არსებული ავტონომიური ქურთისტანის ლიდერებს კირკუკ-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნაზე, რომლის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 250 ათასი ბარელ ნავთობს აღწევს. თავის მხრივ, „ტრამპის გზა“ შეუძლია ტრანსკასპიური მილსადენის „მძინარე პროექტი“ გამოაღვიძოს, რომლის მეშვეობით ცენტრალური აზიიდან, თურქეთის გავლით, ევროპას შეიძლება 1 ტრილიონი კუბმეტრი ბუნებრივი გაზი მიეწოდოს.

მაგრამ იმავდროულად ვაჭრობის სფეროს ჩინოვნიკები და ეკონომისტები გვაფრთხილებენ: იდეა იმისა, რომ თურქეთზე გამავალი სახმელეთო მარშრუტები შეიძლება სპარსეთის ყურის საზღვაო გზის (და რუსეთის დერეფნის) ალტერნატივა გახდეს, განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენს.

**რაც შეეხება კონკრეტულად „ტრამპის გზას“, როგორც უკვე ითქვა, მისი მომავალი განპირობებულია არამხოლოდ საინჟინრო-ტექნიკური მომენტებით, არამედ პოლიტიკითაც. წარსულში იყო ფაქტები, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა კავკასიაში თავისი პროექტი „ტრამპ თაუერი“ განახორციელა, მაგრამ რადგანაც სკანდალები მოხდა და კორუფციის ფაქტები გამოვლინდა, აგრეთვე კავშირები ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგებთან“, ტრამპის კომპანია პროექტიდან გავიდა.**



დასაბეჭდად მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**

საქართველოს რესპუბლიკა



# მოწყალე, ღვთისნიერი ერისთავები წითელრაზმელებმა შეიწირეს!




**დავით ახლოური,**

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი


## ამაგდარი ერისკაცი და „ჯოხის ფული"

**გორის მუნიციპალიტეტის სოფელი კარალეთი შიდა ქართლის ვაკეზე მდებარეობს, გორიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 8 კილომეტრითაა დაშორებული.**



რევაზ ერისთავი

ამ ისტორიული სოფლის განვითარებას, მის ეკონომიკას, კულტურას დიდი ამაგი დასდეს აქ მცხოვრებმა ქსნის ხეობელმა მებატონეებმა. სოფლის ამაგდარ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კარალეთის უკანასკნელი მებატონე მიხეილ ერისთავი. იგი იყო რევაზ და ნინო ერისთავების ვაჟი. იმ რევაზ ერისთავის, რომლის კოზლოვის შეშლილის თარგმანსაც ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა 1860 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგამ „შეშლილის" თარგმანზედა", რასაც მოჰყვა 1861 წელს „ცისკარში" ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის, რევაზ ერისთავისა და გიორგი ბარათაშვილის წერილები...

კარალეთში, ერისთავების საგვარეულო სასახლეში დაბადებულა რევაზის ვაჟი მიხეილი 1861 (ან 1862) წელს. დაწყებითი განათლება კერძო პანსიონატში მიუღია და სწავლა უკრაინაში, უმანის სასწავლებელში გაუგრძელებია, რომლის დამთავრების შემდეგ იღებს პირველი თანრიგის ატესტატს. უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნებული ცდილობს თავისი ცოდნა და პროფესიონალიზმი კარალეთში სოფლის მეურნეობის განვითარებას მოახმაროს. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობები მიხეილს საშუალებას აძლევდა თავის ქვეყანაშიც გამოეყვანა ხეხილისა და ვაზის სხვადასხვა ჯიშები.

**„მიხეილ ერისთავი იყო პირველი, რომელმაც გორის მაზრაში ამერიკული ჯიშის ვაზის საძირეთა სადედე შექმნა და სანერგე მეურნეობაც მოაწყო. კარალეთში სუფრის ყურძნის ქართული და უცხოური სახეობები გააშენა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვანი კოლექცია შექმნა. მიხეილ ერისთავმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში დიდი პომოლოგიური ბაღის შექმნას, თოთხმეტ დესეტინა ფართობზე გააშენა ხეხილის ყველა ინტროდუცირებული ჯიშის სახეობა. ნერგები და სანამყენე მასალა მიხეილს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოქონდა და ამ საშვილიშვილო საქმით ხელს უწყობდა ჩვენში გავრცელებული ხეხილის კულტურათა გამდიდრებას".**

მიხეილმა კარალეთში მოაწყო წყალზე მომუშავე სალეწი მანქანა, ზრუნავდა მეფუტკრეობის განვითარებაზე და ჰყავდა ფუტკარი კარალეთსა და ღვარებში, დარგის განვითარებისთვის კონსულტაციებს იღებდა იმ დროისთვის კარგად ცნობილი რუსი მეფუტკრე ტოხომოროვისგან.

მიხეილს სოფელში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებაზეც უზრუნია და კარალეთში შვეიცარიული ჯიშის ძროხები მოუშენებია, რძეს გორში ამუშავებდნენ. ასევე მოუშენებია ტამბოვის საზეკონე ჯიშის ღორები, გაუმრავლებია ე.წ. ბრინჯაოს ინდაურები, ხოლმოგორული ბატები, სხვადასხვა ჯიშის ქათმები. გარდა ამისა, ძალიან გულმოწყალეც ყოფილა კარალეთის ბატონი.

**„ისეთი მოწყალე ბატონი გვყავს, აი სახლები იმისია, გორაზე რომ დგას, რომა შეწუხებული კაცი რომ ნახოს პირიქით თავისას დააყრის და მოგცემს. მერე ეხლა რაც ბატონიშვილი მოვიდა სწავლიდამ... აბა შენ თქვი! ისეთი კართოფილი მოჰყავს რო შენი მოწონებული. რას არა მუშაობს. თავის ხელით ჰყიდის ხოლმე გორის სასწორზე ყველაფერსა. ღმერთო ისეთი ღვთისნიერი ადამიანია!**



მიხეილ ერისთავი

**ჩვენ მაგის ხელში სულ არა გვიშავს-რა. ისე ტკბილად, ძმურად გვექცევა, ისე ყველაფერი ემეტება ჩვენთვინა, რომ ძმა ძმისთვინ არ გაიმეტებს და მამა შვილისთვინა".**

„დროებაში" გამოქვეყნებული კარალეთელი გლეხის ეს სიტყვებიც მოწმობს მათი ბატონის გულმოწყალებასა და შრომისმოყვარეობას.

სოფლის მეურნეობის გარდა, მიხეილ ერისთავი სხვა საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, მას გუბერნიის მდივნის თანამდებობა ეკავა. ჰყავდა უაღრესად განათლებული მეუღლე, გენერალ-მაიორ **ივანე საგინაშვილის ქალიშვილი**



ელისაბედ ერისთავი

**ელენე.** კარალეთში ერისთავების სასახლეს ამშვენებდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც გაეცნობოდით როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურას. ელენე მუდმივად აახლებდა და ავსებდა წიგნად ფონდს უცხოეთიდან გამოწერილი ახალი გამოცემებით. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში მუშაობისას პირადად გავეცანი 1814 წლის ქსნის საერისთავოს აღწერას, რომელსაც წინა ყდის შიდა მხარეზე მიწერილი აქვს:

*„ქართლი. ს. კარალეთი*
*(ნაჭარმაგევი),*
*მიხეილ ერისთავის წიგნებიდან.*
*გ. გოჭორიძე.*
*1924 წ. დეკემბრის 7-ს".*

ერისთავების ბიბლიოთეკით სარგებლობდა მაშინდელი ქართული არისტოკრატია. ელენე ევროპიდან იწვევდა მასწავლებლებს შვილების აღსაზრდელად. ერისთავებმა კარალეთსა და გორში ჩამოაყალიბეს კულტურის ახალი ცენტრი, ლიტერატურული კერა. აქ გამართულ სალონურ საღამოებში მონაწილეობდნენ მაშინდელი ქართული ელიტის წარმომადგენლები, მწერლები, მხატვრები, მომღერლები. საგინაშვილის ქალი თვითონ მუსიკოსი ყოფილა და სალონურ საღამოებზეც ასრულებდა ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის ნაწარმოებებს.

ხელოვნების ნიმუში იყო კარალეთის ცენტრში გორაკზე აგებული ერისთავების დიდებული სასახლე, რომელზეც მოგვითხრობს ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი **ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი:**

**„დიდი სასახლე იყო კარალეთში, თოთხმეტი დიდი ოთახი, რომელსაც ერტყა გარშემო გალავანი... მაღალი კიბე ასავალი და პერედნია, სადაც დგას დიდი შკაპი დიდძალი ჭურჭლეულით და მინეულობით. დგას დიდი სავარძელი, რომელზედაც მომსვლელნი აწყობენ თავიანთ გახდილ პალტოებს. მერე შეხვალთ დიდ ზალაში სადაც თავსა და ბოლოს ფეჩებია, ფანჯრებთან სტოლები და სარკეები, მაგიდაზე ვერცხლის კანდელაპრები და იქავ ყანწები დიდი ვერცხლში შეჭედილი ჯაჭვებით შემკული ვარაყიანი. ზედ აწერია, რომ სოლომონ მეორის ნაქონია. თავით და ბოლოს დიდი ქართული ტახტები ხალიჩებით მორთული. შუაში დიდი სტოლი, დიდი შუშაბანდი, სადაც დილ-დილობით ყმაწვილები ვსვავთ ჩაის. თვალსაჩინოდაა მორთული სასტუმრო ოთახიც, სადაც ჰკიდია მშვენიერი სურათი დიდი თამარისა, მეორე კედელზე უკვდავი რუსთაველის სურათი. ზემოთ ხატები ასვენია 2 ფანჯარასთან. კანკელი სადაც ანთია მუდამ სანთელი. იქვეა დიდი, მშვენიერი ღვთაების ხატი ანასტასია ბატონიშვილისაგან პეტერბურგიდან გამოგზავნილი, აგრეთვე ნაწილები ვერცხლის ბუდეში და ხავერდში ჩასმული, რომელიც ნაკერია თვალმარგალიტით."**



ერისთავების საგვარეულო სასახლე სოფელ კარალეთში

ელისაბედის მოგონება საუკეთესოდ ახასიათებს ერისთავების სასახლესაც და საუკეთესოდ წარმოგვიჩენს კარალეთის ეთნოგრაფიულ ყოფასაც. სასახლე იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მიხეილი და მისი ქველმოქმედი, კულტურული ოჯახი დიდი სიყვარულით სარგებლობდა კარალეთელ გლეხებში. ამ მხრივ საყურადღებო ცნობა შემოგვინახა 1905 წლის „ცნობის ფურცელმაც":

**„23 მარტს შუა სოფელში ცეცხლი გაჩნდა, მაშინვე ასტყდა განუწყვეტელი ზარის რეკვა . ხალხის წივილ-კივილი, ბღავილი და ყეფა ოთხფეხთა. მომეტებული ნაწილი ხალხისა ბეგარაზე იმყოფებოდა. დანარჩენი ბაღ-ვენახებს იყო მოდებული. საბედნიეროდ, მშველელად მოევლინა სოფელს თავადი მ. რ. ერისთავი, რომელიც სასწრაფოდ მიიჭრა თავის მოსამსახურეებით. მამასახლისი ილია ბუხრაძე გაშმაგებით ებრძოდა ცეცხლს. თორმეტი კომლი ამოიბუგნენ თავიანთი სარჩო-საბადებელით, რომელთაც თავადმა მ. რ. ერისთავმა, სხვა დახმარების გარდა, აღმოუჩინა შემწეობა ჭირნახულით, თქვენი მტერი, რომ ერისთავი და მამასახლისი არ შესწრებოდნენ იმ განწირულებს."**

2008 წლის 25 ივლისს კარალეთში სტუმრობისას ვ. ქენქაძეს ჩაუწერია 1933 წელს დაბადებული მიხეილ ვახტანგის ძე ვაზაგაშვილის მონათხრობი: „ბატონი (მიხეილ ერისთავი – დ.ა.) ხშირად ეტყოდა ხოლმე თავის მოურავს, საღამოს გახედე, რომელ სახლიდანაც სინათლე არ გამოდის, ნავთი მიუტანეო".

სამწუხაროა, რომ ამაგდარ ერისთავებს სიკეთის დაუნახავიც ბევრი ჰყავდათ, მეოცე საუკუნის დასაწყისში მძიმე დღეების გადატანა მოუხდა სოფელს ქართლში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობის გამო. კარალეთი მოვლენების ეპიცენტრში მოექცა. 1902 წელს გლეხები ერისთავს საძოვრების გამო უპირისპირდებიან. გორის მაზრის უფროსი მეამბოხე გლეხებს აპატიმრებს. მოგვიანებით მათ რუსეთში გადაასახლებენ. სამი წლის შემდეგ ქართლელი გლეხების კიდევ ერთი გამოსვლა მოეწყო მებატონეთა წინააღმდეგ.

გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობისას მოვიძიე ორი ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელიც ქალბატონ როზა ადუაშვილს კარალეთში ჩაუწერია, მთხრობელი ძველი რევოლუციონერი არტემ სუხიტაშვილი გახლდათ, საბჭოთა პერიოდში ასეთი ხალხის მონაყოლს სხვა ფასი ჰქონდა...

**„მნიშვნელოვანია რევოლუციური აღმავლობა სოფელ კარალეთში. წითელრაზმელების დევნაში ერისთავს ეხმარებოდა თავისი მოურავი სისაური, რომელიც ეროვნებით ოსი იყო. მოსახლეობას იგი არ უყვარდა, რადგან დაუნდობლად ექცეოდათ მათ. ხალხს ძარცვავდა, თავად კი მდიდრულად ცხოვრობდა.**

**წითელრაზმელებმა კარგო ჩუხრუკიძემ, არტემ სუხიტაშვილმა და ვასო გურგენაშვილმა გადაწყვიტეს სისაურის მკვლელობა, რომელიც მოწინავე ადამიანებს აბეზღებდა. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა კარგო ჩუხრუკიძემ. მიხეილ ერისთავმა თბილისიდან გამოითხოვა დამსჯელი რაზმი. მათ მთელი მოსახლეობა გარეთ გამოიყვანეს, ერთად შეაგროვეს, შემდეგ ალყა შემოარტყეს და მოითხოვდნენ მკვლელის დასახელებას. აქ იკვეთება სოფლის მოსახლეობის ერთსულოვნება და სულისკვეთება, როდესაც მკვლელის ვინაობა ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ დაასახელა, თუ ვინ მოკლა სისაური. დამსჯელმა რაზმმა სოფლის მოსახლეობა მდინარე ფშანში ჩააყენა ზამთარში, იანვარში და დაჟინებით მოითხოვდნენ მკვლელის დასახელებას. მოსახლეობამ სიცივეს ვერ გაუძლო, ზოგი ავად გახდა და მოკვდა. მიუხედავად ამისა, მკვლელი მაინც არ დაასახელეს.**

**ხალხი თავს იკავებდა, რევოლუცია კი უკვე მოახლოებული იყო. სწორედ ასეთი გმირობა გამოიჩინა კარალეთის მოსახლეობამ, დაფარეს წითელრაზმელები, რადგან ისინი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ".**

**„1905 წელს რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაძლიერდნენ რევოლუციური ძალები. წითელრაზმელები განიცდიდნენ სასტიკ დევნას. ისინი მიუხედავად ამისა მაინც გაბედულად მოქმედებდნენ. ფარუ-**

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" 2025 წელი №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125, 126, 145, 150, 157-158, 164 2026 წელი №18, 22, 24, 37,39**

საქართველოს რესპუბლიკა



მარცხნიდან დგანან: ელენე საგინაშვილი, მიხეილ ერისთავი, ნიკოლოზ საგინაშვილი, ნინა და ბარბარე საგინაშვილები. წინა პლანზე: ივანე საგინაშვილი

**ლად მოწინავე იდეებს ავრცელებდნენ სოფლის მოსახლეობაში, ასწავლიდნენ ბრძოლის ხერხებს, თავის დახსნის საშუალებებს, უხუცესი კომუნისტი არტემ სუხიტაშვილი მოგვითხრობს, რომ სოფელ კარალეთის მოსახლეობა ძალიან ცუდად ცხოვრობდა. არ ჰქონდათ წესიერი ბინები, ცხოვრობდნენ ალიზის ბინიან სახლებში, რომელიც ჩადგმული იყო მიწაში. მამაკაცებს ღვინის დალევის უფლება არ ჰქონდათ. თუ მებატონე გლეხს ჯოხს დაარტყავდა და ჯოხი გაუტყდებოდა, გლეხს ფული უნდა გადაეხადა ჯოხის საფასურად.**

**ხალხი ღელავდა, ვერ ურიგდებოდა უსამართლობას. ადგილობრივი მებატონეები დამსჯელი რაზმებით აკავებდნენ გლეხებს.**

**მებატონე ერისთავებმა მეფის რუსეთს მოსთხოვა 60 ყაზახი. ისინი შედიოდნენ სახლებში, აირჩევდნენ ცხვრებს, ძროხებს, ქათმებს და პროდუქტებს. მებატონე გლეხების დასამორჩილებლად იყენებდნენ მოურავებს. ერისთავს მოურავად ჰყავდა ჯერ სანდრო ბიბილაშვილი, შემდეგ კი გიო ბიბილაშვილი.**

**გიო ბიბილაშვილმა ერისთავს პირობა მისცა, რომ გადასახადს თვითონ აკრეფდა, ოღონდ თუ 10 კოდი პურიდან 1 კოდს მას მისცემდნენ, 100 მანეთიდან 10 მანეთი იმისი იქნებოდა.**

**ერთხელ გიო ბიბილაშვილი, სოფლის მამასახლისი, გზირი და მზიდავი ათ ყაზახთან ერთად წავიდნენ სოფლის ღალის ასაკრეფად. ისინი ყველაფერს იტაცებდნენ რაც კი მოხვდებოდათ. დარბევის დროს მათ წინააღმდეგობა გაუწია საქია ბუდეიდაშვილმა, სთხოვა დაეცადათ და ნაწილს მერე მისცემდა. გიომ კი გინება დაუწყო. საქიამ ვეღარ აიტანა შეურაცხყოფა და დანით მოკლა მოურავი.**

**ყაზახებმა ვერ გაიგეს მოკვლის მიზეზი, საქია კი გაიქცა და დაიმალა... ცოტა ხნის შემდეგ კი თავად განაცხადა.**

**სოფლის მოწინავე ადამიანებად ითვლებოდნენ იაკობ პაპუკიშვილი, არტემ სუხიტაშვილი, გოჩა ხარიბეგაშვილი. ისინი გამუდმებით ებრძოდნენ ადგილობრივი თავადების მოქმედებებს".**

არტემ სუხიტაშვილის მონათხრობი იდეოლოგიური გამართლება იყო ქართველ თავად-აზნაურობაზე თავდასხმების, მკვლელობების, დევნის, ქონების მიტაცების, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლშევიკთა აღზევების დროს. როგორ შეიძლება დავიჯეროთ ფრაზა „თუ მებატონე გლეხს ჯოხს დაარტყავდა და ჯოხი გაუტყდებოდა, გლეხს ფული უნდა გადაეხადა ჯოხის საფასურადო", როცა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების პრესის ფურცლებიდან კარგად ჩანს, როგორ ეხმარებოდა თავის გლეხებს კარალეთის უკანასკნელი მებატონე.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მიხეილი გრძნობდა, რომ კარგს არაფერს უქადდა მის სიცოცხლესა და ოჯახს წითელრაზმელთა თარეში. გლეხები გვერდით უდგნენ, როგორც შეეძლოთ, იცავდნენ. ბოლოს იძულებული ხდება კარალეთიდან წავიდეს და ოძისში ძმის – შალვას ოჯახს შეაფაროს თავი. ფეხდაფეხ მიჰყვნენ სისხლმოწყურებული ჯალათები და ოძისიდან საქმის გასარჩევად თავისივე ეტლით უკან დაუბრუნებიათ. მიხეილს ოცი წლის ვაჟიც გამოჰყვა თან, შალვა, აგრონომიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. კოდისწყაროსთან ახლოს ვერაგულად მოუკლავთ მამა-შვილი.

**„საცოდავი ბატონი შეხვეწნია რაზმელებს, ოღონდ ჩემი შვილის სიკვდილს ნუ მაყურებინებთ, ჯერ მე მომკალითო... ძალზე გულსატკენია ის ფაქტი, რომ მამას ძალით აყურებინეს შვილის წამება და სიკვდილი, შემდეგ მასაც ტყვიით გაუხვრიტეს შუბლი".**

მძიმე ხვედრი რგებიათ ერისთავების მკვლელებს: ბაზანდარაშვილს, ტერტერაშვილსა და ხარბეგაშვილს: „ბაზანდარაშვილს – როგორც გვითხრეს, სხვენზე შემოდებულ თავისავე ბავშვობის დროინდელ აკვანზე ჩამობმულ თოკით თავი ჩამოუხრჩვია.

ტერტერაშვილმა – იმ უბედურებიდან კარგა ხანს იცოცხლა . ჯერ გააციმბირეს, მოგვიანებით კი კლინიკური სიკვდილის შემდეგ შეშლილი ქუჩა-ქუჩა ხეტიალში უპატრონოდ გარდაიცვალა... ხარბეგაშვილი ბერუკა კი, რომელიც ძალზე აგრესიული და დაუნდობელი კაცი ყოფილა, კომუნისტებს თავისი რიგების წმენდისას დაუხვრეტიათ."

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ელენე საგინაშვილი ქალიშვილებთან: ეკატერინე, ნინო და რუსუდან ერისთავებთან ერთად თბილისში გადასახლდა, დის ბარბარე საგინაშვილ-მაყაშვილის ოჯახში, რომელიც დღევანდელ წყნეთის (დღევანდელ მელიქიშვილის) ქუჩაზე ცხოვრობდა. ელენე კინოთეატრში აკომპანიმენტს უწევდა მუნჯი ფილმების ჩვენებას. მგლოვიარე მეუღლე და დედა ცდილობდა ტკივილი არ შეემჩნია, თუმცა ვალერიან გაფრინდაშვილის მოგონებით, მას კოჯრის გზაზე შემთხვევით უნახავს თავისთვის, ყველასაგან მალულად ტირილით გულმოოხებული თავადის ქვრივი.

ამბობენ, ერისთავების უფროს ქალიშვილს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ეკატერინე ერისთავს მიუძღვნაო გალაკტიონმა გენიალური ლექსი „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები"... სამწუხაროდ, 1938 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ერისთავების უმცროსმა ქალიშვილმა რუსუდანმა, როგორც ჩანს, მისმა ფაქიზმა სულმა ვერ გაუძლო რეპრესიების მძიმე პერიოდს. იგი პროფესიით არქიტექტორ-მხატვარი ყოფილა და გ. ჩუბინიშვილთან უმუშავია ძეგლების აღდგენაზე. ოჯახის წევრებმა ვერ გაუძლეს რეპრესიების წნეხს და ნინოს ნახატები გაანადგურეს, თუმცა მაყაშვილების ოჯახს დღემდე მაინც შემოუნახავს რუსუდანის ორი ნამუშევარი.

**ასევე სამწუხაროა, რომ კარალეთელი ერისთავების ბრწყინვალე სასახლე დღეს იავარქმნილი და გაპარტახებულია, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე იქნება მისი მოვლა-პატრონობა და მიხეილ ერისთავის სახელის უკვდავყოფა.**

# საგანგებო სტუმრის სტატუსით – პარიზში!

## იმოგზაურე საქართველოში ალექსანდრე დიუმასთან ერთად!

**პარიზში, „გრან პალეში", პარიზის წიგნის ფესტივალზე, საქართველოს ეროვნული სტენდი კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ გახსნა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველო პარიზის წიგნის ფესტივალზე საგანგებო სტუმრის სტატუსით წარდგა.

მათივე ცნობით, ეროვნულ სტენდს მწერალთა სახლი საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით წარადგენს. წელს ქართული სტენდის სლოგანია: **„იმოგზაურე საქართველოში ალექსანდრე დიუმასთან ერთად".**

„ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობენ ქართველი ავტორები, პოეტები, პროზაიკოსები, მთარგმნელები, მხატვრები, გამომცემლები და მუსიკოსები. ფესტივალზე წარმოდგენილია ფრანგულ ენაზე ნათარგმნი ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდის ნიმუშები, თანამედროვე ქართველი მწერლების მოთხრობათა კრებულები, ქართველი მოდერნისტი მხატვრების ალბომები, თემატური გამოცემები და წიგნები, „ქართული ფილმის" დიაფილმები.



**„ჩვენ აქ ვისმენთ ძალიან ბევრ კომპლიმენტს ქართული კულტურის მიმართ. 1600-წლიანი უწყვეტი ლიტერატურული განვითარების შედეგია ის, რომ დღეს საქართველო, ევროპის ცენტრში, უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე ღირსეულად არის წარდგენილი თავისი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურით.**

**აღსანიშნავია, რომ პარიზის წიგნის ბაზრობაზე საქართველო, ლიტერატურასთან ერთად, წარდგენილია კინოთი, თეატრითა და სხვა სფეროებით. ამით საქართველო აცხადებს, რომ ის არა მხოლოდ გეოგრაფიულად აკავშირებს ევროპასა და აზიას, არამედ სრულიად განსხვავებული, უწყვეტი კულტურის ქვეყანაა, რომელიც მუდმივად ვითარდება",** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**




ფესტივალის დღეებში დაგეგმილია დისკუსიები ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობების შესახებ; ქართული ფილმების ჩვენებები; პოეზიისა და მუსიკის საღამოები; ვორქშოპები ქართული ანბანის პოპულარიზაციის კუთხით; ქართული კულინარიის პრეზენტაცია. **ფესტივალის დასკვნით დღეს, „სალ გავოს" საკონცერტო დარბაზში, საქართველოს კულტურის სამინისტროს ორგანიზებითა და საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გაიმართება კონცერტი – „ევროპული ტრადიციები ქართულ მუსიკაში".**

# საქართველოს კულტურის მინისტრი UNESCO-ს გენერალურ დირექტორს შეხვდა

**საფრანგეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს კულტურის მინისტრი – თინათინ რუხაძე UNESCO-ს გენერალურ დირექტორს, ხალედ ელ-ენანის შეხვდა.**

კულტურის სამინისტროა ინფორმაციით, შეხვედრისას აღინიშნა UNESCO-ს მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, მრავალფეროვანი კულტურის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

**„განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული კულტურის საერთაშორისო აღიარებას, მათ შორის, 2025 წელს ქართული ხორბლის კულტურის – ტრადიციებისა და რიტუალების UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანას და 2026 წლის ახალ ნომინაციას – „ქართული ცხენოსნური თამაშები – ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა". აღინიშნა, რომ მზადდება ნომინაცია დმანისის ჰომინიდების ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად.**

შეხვედრაზე განიხილეს UNESCO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის, 2026 წელს კულტურული მრავალფეროვნების დღისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დღის აღნიშვნაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა, ასევე, 2027 წელს ილუსტრატორისა და მხატვრის მიხაი ზიჩის იუბილეს უნგრეთთან ერთად აღნიშვნის საკითხი. ყურადღება დაეთმო საქართველოს ჩართულობას „MONDIACULT 2025-ში" და ხაზი გაესვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობას კრიზისულ ვითარებებში.

ყურადღება გამახვილდა კულტურული უფლებებისა და კულტურის ეკონომიკის მიმართულებით საქართველოს მიღწევებსა და გამოწვევებზე.

**საუბარი შეეხო საქართველოს მიერ განხორციელებულ პროექტებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, მათ შორის, გელათის მონასტრის სარეაბილიტაციო პროცესს, რომელიც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტთან და შესაბამის საკონსულტაციო ორგანოებთან თანამშრომლობით მიმდინარეობს. ისაუბრეს მცხეთაში UNESCO-ს ექსპერტთა მისიის შესახებ.**

**თინათინ რუხაძემ UNESCO-ს გენერალური დირექტორი საქართველოში მოიწვია. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ხალედ ელ-ენანი საქართველოს სამუშაო ვიზიტით უახლოეს მომავალში ეწვევა.**



## ერთი მთავარი ციტატა სოცქსელიდან




# ბრიუსელს არა აქვს ფუფუნება, დისტანცირდეს საქართველოსგან!

– საქართველო სწრაფად ტოვებს პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელ პერიფერიული დამკვირვებლის როლს და გარდაიქმნება გეოეკონომიკის ფუნქციურ კვანძად, სადაც მსხვილი მოთამაშეების ინტერესები კი არ იკვეთება მხოლოდ, არამედ კონკრეტულ ნაკადებში (ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და ფინანსურ) რეალიზდება. ეს აღარ არის „განაკებს შორის არჩევანის“ ისტორია, არამედ ჩართვა ისეთ არქიტექტურაში, სადაც ფასობს არა ლოიალობის დეკლარაცია, არამედ ტრანზიტის უზრუნველყოფის, მარშრუტების მდგრადობისა და ინფრასტრუქტურის პროგნოზირებადობის უნარი.

სწორედ ამ პრაქტიკულ სიბრტყეში იწყებს თბილისი რეალური წონის დაგროვებას. ამ ფონზე, მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა ევროკავშირთან, აშკარა ხდება: ბრიუსელს არ აქვს ფუფუნება, დისტანცირდეს საქართველოსგან. მიზეზი უკიდურესად პრაგმატულია – ალტერნატიული მარშრუტები უფრო ძვირია, მოწყვლადი, ან პოლიტიკურად ტოქსიკური. შესაბამისად, ყალიბდება ურთიერთობების ახალი ფორმულა: ნაკლები იდეოლოგიური ზეწოლა და მეტი ცივი ანგარიში. ეს არ არის ღირებულებათა კავშირი, ეს არის აუცილებლობის კავშირი, სადაც საქართველო თავის ფორმალურ სტატუსზე გაცილებით დიდ როლს თამაშობს.

ახლა კი შევეხოთ რუსეთის აშკარა გაღიზიანებას სწორედ რომ საქართველოს მსგავსი პოზიციონირების გამო: რუსეთი სუსტ მოთამაშეებს, რომელთაც ხელში არ აქვთ კოზირები, აიგნორებს და ზიზღით უყურებს. ამჟამად კი საქართველო რუსეთის თვალწინ გარდაიქმნება საერთაშორისო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თამაშის სუბიექტად, რაც მათ შორის ურთიერთქმედების ლოგიკას რადიკალურად ცვლის. ასეთ კონფიგურაციაში ვაჭრობა ქვეყნებს ორის უკვე შესაძლებელია – არა ცალმხრივი ზეწოლის ფორმატში, არამედ გაცვლის რეჟიმში. ჩნდება სივრცე, სადაც თბილისს აქვს უფლება, გამოითხოვოს კონკრეტული, პრაგმატული ბენეფიტები. მათ შორის მოსკოვთან ურთიერთობებშიც, საკუთარი მზარდი ფუნქციური მნიშვნელობის საფუძველზე...



**დავით ქართველიშვილი**

18 აპრილი, 2026 წ.

---

**მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს საგაზაფხულო სხდომა პარლამენტში**

**საქართველოს პარლამენტმა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (IAO) საერთაშორისო სამდივნოს საგაზაფხულო სხდომას უმასპინძლა.**

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა.**

შალვა პაპუაშვილმა საქართველოში მართლმადიდებლობის როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასამბლეის ვიზიტი საქართველოში იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა ქრისტიანობის გამოცხადების 1700 წლის იუბილეს აღნიშნავს.

**„საქართველოსთვის მართლმადიდებლობა მხოლოდ სარწმუნოება არ არის – ის ეროვნული იდენტობის და ისტორიული უწყვეტობის საფუძველია. მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან დღემდე, ქართული მართლმადიდებლური ტრადიცია გადამწყვეტ როლს ასრულებდა ჩვენი ენის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანას უმძიმესი ისტორიული განსაცდელების გავლა უხდებოდა. ის იყო ჩვენი ერთიანობის, გამძლეობისა და ზნეობრივი სიმტკიცის წყარო“.**

პარლამენტის თავმჯდომარემ ასამბლეის საქმიანობაზე და თანამედროვე სამყაროში ქრისტიანული ღირებულებების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.




# მართლმადიდებლობა ქართველთა ისტორიული უწყვეტობის საფუძველია!

მისასალმებელ სიტყვაში სხვადასხვა კონფესიის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ისაუბრა ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

**„ჩვენი ქვეყნის ისტორია საუკუნეების მანძილზე ცნობილია რელიგიათაშორისი ტოლერანტობით. საქართველოში დღესაც, ძველ თბილისში, მეგობრულად ცხოვრობენ და ერთმანეთის გვერდით ლოცულობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, მუსლიმები, ებრაული თემის წარმომადგენლები, ასევე სომხური გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიის მორწმუნეები. ეს მემკვიდრეობა ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს სულიერი კულტურა ყოველთვის ეფუძნებოდა ურთიერთპატივისცემას, დიალოგს და მშვიდობიან თანაცხოვრებას. სწორედ ამ გამოცდილებით ვამაყობთ და მზად ვართ, რომ იგი გავუზიაროთ მსოფლიოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი შეხვედრა თბილისში კიდევ უფრო გააძლიერებს ურთიერთგაგებას, მეგობრობას და თანამშრომლობას. საქართველოს პარლამენტი ყოველთვის იქნება თქვენი პარტნიორი იმ ინიციატივებში, რომლებიც ემსახურება მშვიდობის, დემოკრატიისა და ქრისტიანული ფასეულობების დაცვას“,** – განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

ღონისძიების მონაწილეებს ასევე მიესალმა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გენერალური მდივანი მაქსიმოს ხარაკოპულოსი.

**ასამბლეის სხდომაზე ორგანიზაციის მიერ ბოლო პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში განიხილეს. საუბარი შეეხო განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს. მონაწილეებმა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის 33-ე გენერალური ასამბლეის ორგანიზების საკითხებზე იმსჯელეს, რომელიც 2026 წლის 17–21 ივნისს ჰელსინკიში გაიმართება.**

**ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 11 ქვეყნის – საქართველოს, სომხეთის, ბოსნია-ჰერცეგოვინის, კვიპროსის, ეგვიპტის, საბერძნეთის, უნგრეთის, იორდანიის, ჩრდილოეთ მაკედონიის, რუმინეთისა და სერბეთის წარმომადგენლებმა.**

---

# ქართული ენის კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ეკატერინე ხუციშვილმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილესთან ლია გიგაურთან და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურის და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორთან ემზარ ჯგერენაიასთან ერთად, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვეს.**

კონკურსი არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ პროგრამაში ჩართული საჯარო სკოლების ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებლებს და საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.

კონკურსი მოიცავდა სამ ნომინაციას: ესეებს, კალიგრაფიულ ნამუშევრებსა და ვიდეორგოლებს, ხოლო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა როგორც ქართული ენის პოპულარიზაცია, ასევე სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა, მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება და მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება.

**კალიგრაფიის ნომინაციაში „დიდი წიგნები“ საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ:**

**I ადგილი – მანე მისკარიანი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამიის საჯარო სკოლის მოსწავლე და ქართული ენის მასწავლებელი **მზია გუნია;**

**II ადგილი – ჰასმიკ სუკასიანი,** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კარტიკამის საჯარო სკოლის მოსწავლე




და ქართული ენის მასწავლებელი **ქეთევან ნასყიდაშვილი;**

**III ადგილი – შახნაზ ბაირამოვა,** გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის მოსწავლე და **ლიანა მუკბანიანი** – ქართული ენის მასწავლებელი.

**ესეების ნომინაციაში „ენა, რომელიც გვაერთიანებს“ საპრიზო ადგილების მფლობელები გახდნენ:**

**I ადგილი – არეგნაზ აღაბაბიან,** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე და **იამზე მსხვილიძე** – ქართული ენის მასწავლებელი;

**II ადგილი – ნარა ოგანიანი,** ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლნისის საჯარო სკოლის მოსწავლე და **იზა გვირჯიშვილი**, ქართული ენის მასწავლებელი;

**III ადგილი – აიიუბ რაჯაბოვი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულარის საჯარო სკოლის მოსწავლე და **ანა მეტრეველი** – ქართული ენის მასწავლებელი.

**ვიდეორგოლების ნომინაციაში „ენა და საზოგადოება“ პრიზიორები გახდნენ:**

**I ადგილი – ზეინაბ ახმედოვა,** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბირკენდის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე და **ხათუნა წიკლაური** – ქართული ენის მასწავლებელი;

**II ადგილი – ლოვა მარტიროსიანი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახკერპის საჯარო სკოლის მოსწავლე და **ნარიმან მელიქიძე** – ქართული ენის მასწავლებელი;

**III ადგილი – სახლადარ ჯალილოვი,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლე და **დალი ოსეფაშვილი** – ქართული ენის მასწავლებელი.

**დაჯილდოება ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის არსებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა. დაჯილდოების ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საგანმანათლებლო რესურსცენტრების და კონკურსში მონაწილე სკოლების წარმომადგენლები.**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გევორგ პოღოსიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გევორგ პოღოსიან (პ/ნ 32001011147), ნინოწმინდის რაიონი, სოფელი ჯიგრაშენი, მე-10 ქუჩა, N11

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ნინოწმინდის რაიონი, სოფელი ჯიგრაშენი, კვარტალი 33, ბლოკი 33, ნაკვეთი 515 მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 3204 კვ.მ და და შენობა-ნაგებობები: უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი 99.10 კვმ (საცხოვრებელი) N2 საერთო ფართი 24.70 კვმ (არასაცხოვრებელი), N3 საერთო ფართი 40.30 კვმ (არასაცხოვრებელი) (საკადასტრო კოდი: 65.09.33.515)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 40448.92 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 20 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 14:30 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126074026**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1260740)

**8. მოვალე:** გევორგ პოღოსიან (პ/ნ 32001011147), ნინოწმინდის რაიონი, სოფელი ჯიგრაშენი, მე-10 ქუჩა, N11

გინოსიან გოჰარ (პ/ნ 32791000034), ნინოწმინდის რ-ნი, სოფელი ჯიგრაშენი, მე-10 ქუჩა, N11

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 13 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი სამიტაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი სამიტაშვილი (პ/ნ 01017035198), თბილისი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N18

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ყვარლის რაიონი, ადმინისტრაციული ერთეული ახალსოფელი, ბლოკი 007 ნაკვეთი 004 მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 12500 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 57.02.62.007.004)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 52503.06 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 20 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126068726**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1260687)

**8. მოვალე:** გიორგი სამიტაშვილი (პ/ნ 01017035198), თბილისი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N18
რამაზ სამიტაშვილი (პ/ნ 01017010338), თბილისი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N18

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 13 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლაშა ჯანჯღავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლაშა ჯანჯღავა (პ/ნ 60001048729), ქუთაისი, ავტომშენებლის I შესახვევი N3, ბინა 1

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** წყალტუბოს რაიონი, სოფელი ფარცხანაყანები, 1-ლი ქ. N63 მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 3950 კვ.მ და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი -80.66 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 29.11.32.554)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9954.70 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 20 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 14:45 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126074626**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1260746)

**8. მოვალე:** ლაშა ჯანჯღავა (პ/ნ 60001048729), ქუთაისი, ავტომშენებლის I შესახვევი N3, ბინა 1

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 13 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მერაბ გეზელიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერაბ გეზელიშვილი (პ/ნ 35001023911), ყვარლის რაიონი, სოფელი ჭიკაანი, მე-16 ქუჩა N3

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ყვარლის რაიონი, სოფელ ჭიკაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 8406 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 57.03.59.000.036)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19665.50 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 20 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126067126**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1260671)

**8. მოვალე:** მერაბ გეზელიშვილი (პ/ნ 35001023911), ყვარლის რაიონი, სოფელი ჭიკაანი, მე-16 ქუჩა N3

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 13 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.




# ოქროთსვენა თბილისში

**თბილისში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ლუკა მაისურაძემ ოქროს მედალი არავის დაუთმო და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

90 კგ წონით კატეგორიაში მაისურაძემ ისრაელელი რეემ ფრიდმანი, სერბი ისლამ სოგენოვი, ბულგარელი ივაილო ივანოვი და რუმინელი ალექს კრეტი დაჯაბნა, რის შედეგადაც ფინალში გავიდა, სადაც სერბ ნემანია მაიდოვს შეხვდა, რომელიც დამატებით დროში დაამარცხა და კარიერაში მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

ამავე წონაში **ლაშა ბექაურმა** იტალიელ კომი კენი ბედელს, მოლდოველ მიჰაილ ლატიშევს და ბელარუს იაჰორ ვარაპაიეუს აჯობა, მაგრამ ნახევარფინალში სერბ ნემანია მაიდოვთან მარცხი განიცადა. შესაბამისად, მან ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მისი მეტოქე კი ფრანგი მაქსიმ-გაელ ნგიაპ ჰამბუ იყო, რომელთანაც იპონით დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ბექაური ტრავმირებული ხელით ჭიდაობდა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მონაგარი **3 ოქროს (ეთერ ლიპარტელიანი, ლაშა შავდათუაშვილი, ლუკა მაისურაძე)** და **2 ვერცხლის** მედალია **(გიორგი სარდალაშვილი, ტატო გრიგალაშვილი)**. საქართველო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სამი საშეჯიბრო დღის შემდეგ პირველ ადგილზეა.

* * *

**ჩვენთვის** ტრიუმფალური ფორუმი გუშინ არნახული მიღწევით – მე-4 ოქროთი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მოპოვებული ისტორიული გამარჯვებითა და ქართული სახელმწიფო ჰიმნით დაგვირგვინდა, რომელიც +100 კილოში მსოფლიოსა და აწ უკვე ევროპის ორგზის ჩემპიონის **გურამ თუშიშვილის** ძლევაი საკვირველის აღსანიშნავად გაჟღერდა ოლიმპიური სასახლის თაღებქვეშ. მან ფინალში ჩეხ ლეგენდას, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ლუკაშ კრპალეკს სძლია ვაზარით.

გუშინვე ბრინჯაო **ილია სულამანიძემ** დაიმსახურა.

# აჭარა — მოვლენათა ეპიცენტრში

**18 აპრილიდან ბათუმმა სპორტული სეზონი მასშტაბურად გახსნა და 26 აპრილის ჩათვლით, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გულშემატკივრებს არაერთ ღონისძიებაზე დასწრების საშუალება მიეცემათ – ქალაქი საფეხბურთო მატჩს, დიდი 10-ის სარაგბო ფინალსა და ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

აღნიშნულ პერიოდში საინტერესო საფეხბურთო მატჩი გაიმართება ბათუმის აჭარაბეთ არენის სტადიონზე, სადაც დინამო ბათუმი ეროვნული ლიგის მე-7 ტურის ეგიდით, საქართველოს მოქმედ ჩემპიონს, იბერია 1999-ს მიიღებს.

19-დან 26 აპრილის ჩათვლით, ბათუმში ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატი იმართება, სადაც საქართველოს ნაკრები ათ წონით კატეგორიაში 13 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი. ასევე, ბათუმი კროკობეთ დიდი 10-ის ფინალურ მატჩს მასპინძლობს, სადაც ბათუმი ქუთაისის არესსა და აიას შორის გამარჯვებულს შეხვდება. აქვე დავძენთ, რომ ტრიბუნებიდან მხარდაჭერის პარალელურად, მაყურებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოიგონ iPhone 17 Pro Max, PlayStation 5 და სხვა ღირებული პრიზები. ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.




# ო, მოდა, მოდა...

**ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, რაგბი და უკვე ხელბურთიც (ისე, ვაჟა პაჭარავას სამშობლოში ფრენბურთმა რაღა დააშავა?).**

მიხვდით, ალბათ – ვსაუბრობთ სპორტის იმ სათამაშო სახეობებზე, სადაც ეროვნული ნაკრებების თავკაცობა უცხოელ მწვრთნელებს ვანდეთ და მათგან ბევრი რამეც ვისწავლეთ, რის გამოც მუდამ მადლიერნი ვიქნებით მოწვეულ სპეციალისტთა მიმართ, მაგრამ...

მაშინ, როცა მთელი ქვეყანა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს **ილია მეორეს** ეთხოვებოდა, შედარებით უხმაუროდ ჩაიარა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდიდან იმ საამაყო გუნდის გამოთიშვამ, რომელმაც **ტიტე კალანდაძის** ხელმძღვანელობით ბოლო 2 ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად ითამაშა და სასახელო ტრადიციების დაბრუნება გვაფიქრებინა.

ასეთ შედეგს ისიც ამძიმებდა, რომ ორივე მატჩს ისრაელში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო თელავმა უმასპინძლა და საკუთარი დარბაზის უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ, ამიტომ, როგორც მსგავს სიტუაციებში ხშირად ხდება ხოლმე,ჯოხი ჯვაროსანთა დამრიგებელზე გადატყდა და ესპანელი **რუბენ გარაბაიას** სახით უკვე შემცვლელიც მოიძებნა.

კარიერული თვალსაზრისით სამივე უმაღლესი რანგის ფორუმის (ოლიმპიადა, პლანეტისა და კონტინენტის ჩემპიონატები) ყველა სინჯის მედლის მფლობელს, რომელმაც საუკეთესო საკლუბო წლები ბარსელონაში გაატარა, ბევრი არაფერი დაეწუნება, თუმცა ჯერჯერობით იმავეს ვერ ვიტყვით მის სამწვრთნელო უნარებზე.

ვიმედოვნებთ, შეგირდებთან ერთად ოსტატი გამოცდილების დაგროვების პარალელურად პროფესიონალ მესაჭედაც ჩამოყალიბდება.

# ალბანურ ხალიჩაზე

**20-26 აპრილს ალბანეთის დედაქალაქი ტირანა ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ცნობილია საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – 20-22 აპრილი**

**55კგ – ვახტანგ ლოლუა, 60კგ – დიმიტრი ხაჩიძე, 63კგ – ფრიდონ აბულაძე, 67კგ – დიეგო ჩხიკვაძე, 72კგ – იური ლომაძე, 77კგ – რამაზ ზოიძე, 82კგ – გელა ბოლქვაძე, 87კგ – ლაშა გობაძე, 97კგ – გიორგი მელია, 130კგ – სულხან ბუიძე.**

**თავისუფალი ჭიდაობა – 24-26 აპრილი**

**57კგ – რობერტ დინგაშვილი, 61კგ – გიორგი ღონიაშვილი, 65კგ – ნიკა ზაქაშვილი, 70კგ – აკაკი ქემერტელიძე, 74კგ – გიორგი ელბაქიძე, 79კგ – ტარიელ გაფრინდაშვილი, 86კგ – ვლადიმერ გამყრელიძე, 92კგ – მირიან მაისურაძე, 97კგ – გივი მაჭარაშვილი, 125კგ – სოლომონ მანაშვილი.**

# აკადემიურ კურსებზე — მონაკოში

**საქართველოს სარაგბო 7-ქალა აპრილის ბოლოს მონაკოში გაემგზავრება, სადაც პირველ მაისს 1-დღიან მონაკოს საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს.**

ქალთა ტურნირში 4 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, თამაშები კი მონაკოს „პრინც ჟაკ ჰერედიტერის“ სტადიონზე გაიმართება. **გიორგი მაისურაძის** შეგირდები ივნისში გასამართავი რაგბი ევროპის ალაფისთვის ემზადებიან და მონაკოში მოსამზადებელი თამაშები ექნებათ.



**„ვეტერანი ბორჯღალოსნის, დავით ბოლღაშვილის დახმარებით, მონაკოს ტურნირზე მიწვევა მივიღეთ და ამ შეთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდით. ამჟამად გუნდში 25 მოთამაშე გვყავს და მონაკოში 12 მათგანს წავიყვანთ. მაისის ბოლოს კიდევ ერთი მოსამზადებელი ტურნირი გვექნება და იქ თავის გამოჩენის შესაძლებლობა დანარჩენ გოგონებს ექნებათ. ამ ორი ტურნირის შედეგად შევარჩევთ იმ მორაგბეებს, რომლებიც უკვე ევროპის ჩემპიონატზე წავლენ“** – ამბობს **მაისურაძე.** რომელ გუნდებთან მოუწევთ ჩვენს გოგონებს თამაში, მოგვიანებით გაირკვევა.

# კეთილი ბოლო

**პერიოდული ჩავარდნებისა და არასტაბილური თამაშის მიუხედავად, ევროლიგის რეგულარული სეზონი „ქართულმა ტრიომ“ ღირსეულად დაასრულა და ოთხთა ფინალის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს.**

უკანასკნელი ტური: ბარსელონა – ბაიერნი 95:69. **თორნიკე შენგელიამ** მასპინძლებს 24 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 4 ასისტი შეაწია, მის პარტნიორთა მონაგარი კი ასეთია: კლაიბერნი – 22, ბრიზუელა – 16, ფოლი – 14, ვესელი – 11, პარა – 8, პანტერი – 6, ნორისი – 5, სატორანსკი – 4, კეილი – 2 ქულა. სტუმართაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ მიკი – 17 ქულა და დიმიტრიევიჩი – 15 ქულა.

მონაკო (მთავარი მწვრთნელი მანუჩარ მარკოიშვილი) – ჰაპოელი 105:85, ჟალგირისი (მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ანდრია ანთელაძე)** – პარიზი 85:79.

**საბოლოო სატურნირო ცხრილი:** ოლიმპიაკოსი – 26, ვალენსია – 25, რეალი, ფენერბახჩე – 24, ჟალგირისი, ჰაპოელი – 23, პანათინაიკოსი, მონაკო – 22, ბარსელონა, ცრვენა ზვეზდა – 21, დუბაი – 19, მაკაბი – 18, ბაიერნი, მილანი – 17, პარტიზანი – 16, პარიზი – 15, ვირტუსი – 14, ბასკონია – 13, ეფესი – 12, ლიონი – 8 გამარჯვება.

**პლეი-ინი**

**21 აპრილი**: პანათინაიკოსი – მონაკო, ბარსელონა – ცრვენა ზვეზდა.

**პლეი-ოფი**

გრძელდება 3 მოგებამდე.

სერიის პირველი მატჩები 28 აპრილს გაიმართება და ერთმანეთს ხვდებიან: ფენერბახჩე – ჟალგირისი, რეალი – ჰაპოელი.

რაც შეეხება ოლიმპიაკოსსა და ვალენსიას, როგორც პირველი ეტაპის საუკეთესონი, ისინი მეტოქეთა გამოვლენას ბოლომდე დაელოდებიან.



# გატაცებაზე მეტი

**კოლეგაა თუ მეგობარი? – ალბათ, ბევრი დაფიქრებულა თანამოკალმესთან ურთიერთობის ხარისხის განსაზღვრისას.**

ეს ის შემთხვევაა, როცა ძნელია არჩევანის გაკეთება და რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭების ნაცვლად პოპულარულ სიტყვას გამოვიყენებთ პასუხად: „ორივენიცა“.

**ზურაბ თალაკვაძესთან** გასული საუკუნის სუსხიანი 90-იანი წლებიდან ვიპოვეთ საერთო საკალათბურთო ენა, როცა ვერის ბაღისა და სპორტის სასახლის გაყინულ დარბაზებში მთელ დღეებს ვატარებდით ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გასაშუქებლად.

კი ბატონო, კიდეც ციოდა, არც ცხელი წყალი მოდიოდა მოთამაშეთათვის შხაპის მისაღებად და სარბიელიც ხშირად სველდებოდა გახვრეტილი ჭერისა და წვიმისა თუ თოვლის შედეგად, მაგრამ სამაგიეროდ გვაახლოებდა საყვარელი სახეობა და პროფესიიიზადმი ერთგულება, რაც ყოველგვარ კომფორტს გვავიწყებდა. ზურას განსაკუთრებული კოზირი გახლდათ თამაშებზე პატარა გივიკოსთან ერთად გამოცხადება, რაც, ბუნებრივია, ჩვენც გვითბობდა გულს, მაგრამ მაინც, რადგან მის უდიდებულესობა კალათბურთზე ვსაუბრობთ, დავუბრუნდეთ ჩვენი წერილის გმირის გატაცებას, უფრო სწორად – გაცილებით მეტს.

უპირველესად, აღსანიშნავია მისი წიგნიერება და ინტელექტი, რაშიც დაგარწმუნებთ



თალაკვაძის როგორც საგაზეთო პუბლიკაციები, ისე ტელერეპორტაჟები, ამიტომ ლოგიკურად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ, დიდი ალბათობით, გულშემატკივართა სოლიდური ნაწილის დაინტერესებას კალათბურთით ზურას დამსახურებასაც უნდა ვუმადლოდეთ. თუ გნებავთ, მხოლოდ ამიტომ ღირდა ამ ჯერაც ახალგაზრდა კაცის ხანგრძლივი მოღვაწეობა.

და ბოლოს – გვაქვს პატივი, გაუწყოთ, რომ საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერი **ზურაბ თალაკვაძე** წინასააღდგომოდ მსგავსი ევროპული ორგანიზაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს.

# აჭარის პოლიციის სადაგი დღეები

## ნარკოდანაშაულის ბრალდებით უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე გაკოჭეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის 2 მოქალაქე: 1995 წელს დაბადებული ა.ა. და 1994 წელს დაბადებული ს.ზ., სხვადასხვა დროს, ბათუმში დააკავეს.**



სამართალდამცველებმა ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერება, მათ ორის: „მეთადონი“, „პრეგაბალინი“ და „გამომშრალი მარიხუანა“.

## ცირკულარით ძებნილი უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, საერთაშორისო დონეზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი, თურქეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკების მოქალაქეები – 1964 წელს დაბადებული ო.თ. და 1990 წელს დაბადებული ვ.ა. ბათუმში დააკავეს,** – ინფორმაციას შსს-ის პრესსამსახური ავრცელებს.

დაკავებულები თურქეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკების სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე იძებნებოდნენ. ამჟამად დაკავებულების მიმართ კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

## დაუნდობელი ყაჩაღობა არ შერჩათ!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით ორი პირი: 2000 წელს დაბადებული მ.მ. და ამავე წელს დაბადებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე კ.პ. დააკავეს. ხოლო დანაშაულში მონაწილე 2001 წელს დაბადებულ ლ.ჩ.-ს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, თანამზრახველთან ერთად, დიდი ოდენობით თანხის მიღების მიზნით ყაჩაღობის გეგმა შეიმუშავეს. მიმდინარე წლის 14 აპრილს, თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბინაში, მოტყუებით მიიყვანეს ორი პირი, გაკოჭეს და ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებითა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით ყაჩაღურად დაეუფლნენ მათ კუთვნილ თანხას – 181 000 აშშ დოლარის ოდენობით, მაჯის საათსა და ყელსაბამს. დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ სამივე ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დამნაშავეების ვინაობა დაადგინეს და მათ მიმართ კანონით განსაზღვრული ღონისძიებები გაატარეს. პოლიციამ მ.მ. და კ.პ. ბრალდებულის სახით დააკავა.

## ინგუშეთში ცნობილი სპორტსმენები ერთმანეთს დაერივნენ...

**ინგუშეთში მასობრივი სროლა იყო, რომელშიც პროფესიონალი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ინციდენტი მოხდა ნაზრანის რაიონის სოფელ გაზი-იურტში,** – ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

სამართალდამცველების ინფორმაციით, სოფელში ორი ავტომობილით შეიარაღებული ჯგუფი მივიდა. ადგილობრივები მათ კერძო სახლთან ელოდებოდნენ, დაიწყო ჩხუბი, რის შემდეგაც რამდენიმე პირმა პისტოლეტებიდან გახსნა ცეცხლი, ხოლო ერთ-ერთმა მონაწილემ ავტომატიდან გაისროლა. სროლის შედეგად სოფლის ერთმა მცხოვრებმა მიიღო დაზიანება. ის ცეცხლსასროლი ჭრილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. წინასწარი მონაცემებით, თავდამსხმელებს შორის იყო თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი. სამართალდამცველები ამ ეტაპზე მის ვინაობას არ ასახელებენ. კონფლიქტის მიზეზად, სავარაუდოდ, მანამდე კაფეში მომხდარი ჩხუბი სახელდება. პოლიცია გამოძიებას აგრძელებს.

## მდუმარე ბერი ნიკოლოზი გარდაცვლილი იპოვეს



**გუშინ ბერი ნიკოლოზ (ნარიმან) მაქარაშვილი საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.**

**ის ბოლო რამდენიმე წელია, ფონიჭალაში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობდა. ბერი ნიკოლოზის ბინის კართან მუდამ იმყოფებოდნენ მისი მიმდევრები. თუმცა, ვრცელდება დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ მდუმარე ბერი ბოლო რამდენიმე დღეა ბინაში იმყოფებოდა.**

## კარაქსა და საქონლის ხორცში კიბოს უჯრედების გამანადგურებლები იპოვეს!



**ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა, ჩაატარეს ძალიან სიღრმისეული და დეტალური კვლევა და ახლა ისინი ამტკიცებენ, რომ ცხიმიანი რძის პროდუქტები, საქონლის ხორცი და ცხვრის ხორცი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ეხმარება კიბოს მკურნალობას.**

მათი კვლევა ახლახან გამოქვეყნდა Nature-ში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სანდო და რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში. რა თქმა უნდა, მეცნიერები არ ამტკიცებენ, რომ კიბოს მკურნალობა მხოლოდ ასეთი პროდუქტებით და წამლებისა თუ მკურნალობის სხვა მეთოდების გარეშეა შესაძლებელი. კვლევის თანახმად, კიბოს უჯრედების წინააღმდეგ მებრძოლი აქტიური ნივთიერება აღმოჩნდა ტრანსვაქცენური ცხიმოვანი მჟავა. ის შეიწოვება და გროვდება ცხიმებსა და რძეში. აქედან გამომდინარე, ეს ნივთიერება ბევრია კარაქში, ცხიმოვანი რძის პროდუქტებში, საქონლის ხორცში და ცხვრის ხორცში. ასევე ბევრია დედის რძეში.

მეცნიერებმა აჩვენეს, რომ ცხიმოვანი მჟავა აუმჯობესებს იმუნური სისტემის სპეციალური უჯრედების უნარს, შეაღწიონ სიმსივნეებში და მოკლას კიბოს უჯრედები.

# როგორ იპარავენ პანდემიის შემდგომი ეკონომიკის გადასარჩენად გამოყოფილ მილიარდებს ევროკავშირში...




**ევროპის პროკურატურა (EPPO) თაღლითობის 500-ზე მეტ სავარაუდო შემთხვევას იძიებს, რომლებიც ევროკავშირის 577-მილიარდიან „აღდგენისა და მდგრადობის ფონდს“ (RRF) უკავშირდება. აღნიშნული ფონდი ბლოკის მთავარი ფინანსური ინსტრუმენტია პანდემიის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის. საგამოძიებო პლატფორმა Follow the Money-ის (FTM) უახლესი მონაცემებით, ზარალის სავარაუდო მოცულობამ 5 მილიარდ ევროს მიაღწია.**

**ევროპის პროკურატურის 2025 წლის ანგარიში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, RRF-თან დაკავშირებული გამოძიებების რაოდენობის მკვეთრ ზრდაზე მიუთითებს. მხოლოდ გასულ წელს 300-მდე ახალი საქმე აღიძრა, რის შედეგადაც ამ ტიპის დანაშაულებმა უწყების საერთო საქმეების 21% შეადგინა. 2025 წლის ბოლოსთვის პროკურატურა 512 აქტიურ საქმეს აწარმოებდა, რომლებშიც 2 000-მდე ეჭვმიტანილი ფიგურირებს.**

დარღვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იტალიაში ფიქსირდება. პროკურატურა ამას ქვეყნის ფინანსური პოლიციის (Guardia di Finanza) ეფექტიან მუშაობას მიაწერს, რომელიც ოპერატიულად ავლენს დარღვევებს და მათზე რეაგირებს. თაღლითური სქემები, როგორც წესი, მოიცავს ყალბი ინფორმაციის წარდგენას, ხარჯების ხელოვნურ გაზრდას ან იმ სახსრების არამიზნობრივ განკარგვას, რომლებიც „მწვანე“ ტრანზიციის, ციფრული ტრანსფორმაციისა და ეკონომიკური აღდგენის პროექტებისთვის იყო განკუთვნილი.

**2026 წლის დასაწყისისთვის ფონდიდან აუთვისებელია დაახლოებით 180 მილიარდი ევრო, რის გამოც ევროპის პროკურატურა საზოგადოებას აფრთხილებს, რომ თაღლითობის მასშტაბები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ უწყებამ გარკვეული აქტივების დაყადაღება შეძლო, თანხების სრული ამოღება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება ტრანსსასაზღვრო ბარიერებისა და წევრი ქვეყნების მხრიდან არასრულყოფილი საანგარიშგებო სისტემების გამო.**

ეს მონაცემები თანხვედრაშია პროკურატურის მიერ შემოსავლების თაღლითობასთან დაკავშირებულ სხვა მიგნებებთან. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ამჟამად 981 გამოძიება მიმდინარეობს საბაჟო და დღგ-ის (VAT) მითვისების საქმეებზე.

**სავარაუდო ზარალი 45.01 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც პროკურატურის მიერ შესწავლილი საერთო დანაკარგების (67.27 მლრდ ევრო) 67%-ზე მეტია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემებთან (24.8 მლრდ ევრო) შედარებით თითქმის გასამმაგდა.**

მთავარმა პროკურორმა **ლაურა კიოვეშიმ** დღგ-ის და საბაჟო სქემებს „კრიმინალური ინდუსტრია“ უწოდა, რომლის მიმართაც „ძალიან დიდხანს იჩენდნენ გულგრილობას ან ტოლერანტობას“. მან აღნიშნა, რომ **საქმეების 68% ხარჯვით ნაწილს (სუბსიდიებს) ეხება, თუმცა ფინანსური ზარალის თვალსაზრისით შემოსავლების მითვისება დომინირებს.**

**პროკურატურის გააქტიურება ევროკავშირის მასშტაბური ხარჯვითი პროგრამების მოწყვლადობაზე მიუთითებს. ევროპის აუდიტორთა სასამართლოს (ECA) მიერ 2026 წლის თებერვალში ჩატარებულმა აუდიტმა დანაშაულის გამოვლენის, მონაცემთა გაცვლისა და პრევენციული სისტემების მიმართულებით ხარვეზები გამოავლინა. აუდიტორებმა ის გადახდის მოდელიც გააკრიტიკეს, რომელიც ეტაპობრივ შედეგებზე არის დაფუძნებული და არა ხარჯების პირდაპირ ანაზღაურებაზე, რამაც საბოლოო ბენეფიციარებზე კონტროლი შეასუსტა.**

**ევროპის პროკურატურა კვლავ ითხოვს უფლებამოსილების გაფართოებას და წევრი ქვეყნებისგან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. 2025 წელს უწყებამ 1.13 მილიარდი ევროს ღირებულების ყადაღის ორდერი გამოსცა, თუმცა რეალურად ამოღებული თანხა მხოლოდ 288.93 მილიონ ევროს შეადგენს. სახსრების ნაწილობრივი დაბრუნება და გავრცელებული გოროტმოქმედების განცდა რისკის წინაშე აყენებს საზოგადოებრივ ნდობას ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ.**




## მეუფე შიო: მტერსაც გულმოწყალებით ვძლევთ!

როგორც უფალი ამბობს, თუ გინდა, რომ პირველი იყო, იყავი ყველაზე უკანასკნელი და სხვების მსახური. რამდენი საუბარია დღეს იმაზე, როგორ დავძლიოთ დაპირისპირება საზოგადოებაში. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ მხოლოდ სიყვარულს ძალუძს ამის გაკეთება, დაპირისპირებული ადამიანების გამთლიანება, გაერთიანება, მათი ნების შეერთება და ერთსულოვნების დამკვიდრება. მშვიდობის ერთ-ერთი მთავარი პირობა არის პატიების უნარი.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ ვებრძოლოთ ბოროტებას და ყველას ყველაფრის კეთების უფლება მივცეთ, ამით ბოროტება წავახალისოთ, არა, ეს სულაც არ ნიშნავს ამას. ბოროტებასთან ბრძოლა მოვალეობაა ყოველი ქრისტიანის, როგორც თავის თავში, ასევე მის გარშემო. ამასთან, აუცილებლად უნდა გვქონდეს ლმობიერი და გულმოწყალე დამოკიდებულება ადამიანებთან და როდესაც საჭიროა, ამას უნდა ვავლენდეთ.

მტერთან მოქცევაშიც გულმოწყალება აუცილებელია. უფალი იესო ქრისტე ორჯერ ამბობს – მშვიდობა თქვენდა და ეს მშვიდობა დღეს ჩვენ ძალიან გვჭირდება, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ამიტომ უნდა ვიღვაწოთ მშვიდობისთვის როგორც ჩვენს სულებში, ასევე ჩვენს გარშემოც...




## „იეზი როიალზე“ — წარმოდგენა ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში

**19 აპრილს ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ღონისძიება-პერფორმანსი: „იეზი როიალზე“ გაიმართა.**

მუზეუმის ინფორმაციით, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტუდენტები: **მარიამ ერაძე, ალექსანდრე გახარია, მარიამ სარსანია** და **მანო ბალიაშვილი.** პერფორმანსის დამდგმელი რეჟისორი – **მარიამ კობახიძე.**

„იეზი როიალზე“ – ეძღვნება ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მისი უკანასკნელი დღეების ამსახველ ეპიზოდებს, სადაც იეზი როიალზე გახდება მთავარი სიმბოლო. პერფორმანსის სახელწოდება სიმბოლურად აღებულია ვახტანგ ჭაბუკიანის მეგობრის, ჟურნალისტის, სცენარისტის – ნელი უზნაძის საგაზეთო წერილიდან, სადაც წერს: **„როიალზე ყვავილები ეწყო... იეზი მე ამომქონდა... მისი საყვარელი ყვავილები – ნიშანი ერთგულებისა“.**

**ადგილმდებარეობა: დავით აღმაშენებლის გამზ.N83/23; ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი.**

## დიდი კვლევები მემორანდუმით იწყება!

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ევროპის ბირთვული კვლევების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.**

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს (KIU), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია CERN-ის SHiP კოლაბორაციასთან თანამშრომლობის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს KIU-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის დირექტორმა **ვახტანგ ცაგარელმა,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **დავით გურგენიძემ** და CERN-ის SHiP ექსპერიმენტის სპიკერმა **ანდრეი გოლუტვინმა.**



ღონისძიებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **ზვიად გაბისონია** დაესწრო. სიტყვით გამოსვლისას მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კოლაბორაციის გაფართოების კუთხით ახალი დოკუმენტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მემორანდუმი ითვალისწინებს ქართველი მეცნიერებისა და მკვლევრებისთვის გაცვლითი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების უზრუნველყოფას. ამასთანავე, ქართველი ინჟინრების CERN-ის ექსპერიმენტულ კვლევით პროექტებში ჩართულობის ზრდას.

**„სამმხრივი მემორანდუმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოს სამეცნიერო სივრცის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. CERN-ის SHiP კოლაბორაციასთან თანამშრომლობა ქმნის შესაძლებლობას ადგილობრივი კვლევითი პოტენციალის გაძლიერებისა და გლობალურ ექსპერიმენტულ ფიზიკაში ინტეგრაციისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი მკვლევრებისა და ინჟინრების საერთაშორისო პროექტებში ჩართვის პერსპექტივა, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის გაზიარებას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და ევროპულ სამეცნიერო სივრცესთან დაახლოებას“,** – განაცხადა **ვახტანგ ცაგარელმა.**

აღნიშნული თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქუთაისის ადრონული ცენტრისთვის. ცენტრი აღიჭურვება ციკლოტრონის ტიპის ამაჩქარებლებით, რომელიც განკუთვნილი იქნება სამეცნიერო კვლევების და სამკურნალო მიზნებისათვის.

## ქალაქის „სუფთა ფილტვები“ რუსთავში

**რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტის ფარგლებში მასშტაბური გამწვანების აქცია გაიმართა. მიმდინარე წლის გაზაფხული რუსთავში ეკოლოგიური აქციებით იქნება დატვირთული. აპრილ-მაისიდან დაგეგმილი მწვანე პროექტებიდან კი ყველაზე მასშტაბური რუსთავის ჭალის ტყეებია.**

ჭალის ტყეების განაშენიანების პროექტი, რომელიც 320 ჰექტარ ფართობზე, ბუნებრივი ტყის აღდგენას ითვალისწინებს, უკვე დაწყებულია და დღეიდან აქტიურ ფაზაში შევიდა. პირველ ეტაპზე ჭალის ტყეებში 10 000 ძირი ენდემური ხე-მცენარე დაირგვება.

რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად, ეკო აქციაში მონაწილეობა ქალაქის მერმა **ნინო ლაცაბიძემ,** საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა რეხვიაშვილმა** და დეპუტატებმა მიიღეს.

**„ქალაქში აქტიურ ფაზაში შევიდა ჭალის ტყის განაშენიანების მასშტაბური პროექტი, რომელიც ტყის აღდგენას 320 ჰექტარზე ითვალისწინებს. ადგილზე მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა რაც ამ ტერიტორიას დამატებით ფუნქციას შესძენს და ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი გამორჩეული მწვანე სივრცე შეემატება. სასიხარულოა, რომ პროცესში აქტიურად არიან ჩართული მოხალისე ახალგაზრდები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ ისტორიული პროექტის განხორციელებაში“,** – განაცხადა რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ **მამუკა რეხვიაშვილმა.**




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოწერილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.



იბეჭდება სტამბა
„ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431



რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790


მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 აპრილს